# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 9 აგვისტო, 2012 წელი.

№151 (7027)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## მიხეილ, შენ გიყვარს საქართველო?

②

## პირველი პირი თუ მთავარი კანონმდებელი?



③

## აგვისტოს შუა რიცხვებში სააკაშვილი გადადგება?

## სააკაშვილი და პუტინი „ტყუპი ძმები" არიან

④




## ფული ძალაუფლების წინააღმდეგ

⑧

## რესპუბლიკელი რომნის ვოიაჟები

⑤





**დღის ანეკდოტი**

– ომში შვილდაღუპულ მშობლებთან შეხვედრისას რატომ ჩამოუვარდა ჩვენს პრეზიდენტს მარტო ერთი კურცხალი ცალი თვალიდან?

– იმიტომ, რომ ახალდაწყებული ცრემლის ბიზნესი აქვს და ჯერ მხოლოდ საცდელ პარტიას უშვებს.

## მოსალოდნელ პროგნოზებს ვერავინ გააკეთებს?

გავხდებით თუ არა სენსაციური სკანდალის მოწმენი?

②

პატივგება

## პრეზიდენტმა და პატრიარქმა მემორიალი გვირგვინით შეამკეს




**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე საქართველო-რუსეთის ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით და ყვავილებით შეამკეს.**

ქართველი სამხედროების ხსოვნისადმი მიძღვნილ ცერემონიალში ასევე მონაწილეობდნენ თავდაცვის მინისტრი დიმიტრი შაშკინი და გაერთიანებული შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი დევი ჭანკოტაძე. ღონისძიებას ესწრებოდნენ დაღუპულთა ოჯახის წევრები, თავდაცვის სამინისტროსა და გაერთიანებული შტაბის წარმომადგენლები.

ცერემონიალისას თავდაცვის სამინისტროს სასულე ორკესტრმა სამგლოვიარო მარში და საქართველოს ჰიმნი შეასრულა.

მუხათგვერდის სასაფლაოზე საბრძოლო მოქმედებებისას დაღუპული 43 სამხედრო მოსამსახურეა დაკრძალული, რომელთაგან რამდენიმეს ამოცნობა ვერ მოხერხდა.



## ირაკლი ალასანია: ჩვენ უნდა მოვუფრთხილდეთ ცოცხალ გმირებს, რომლებიც ძალიან ბევრი ჰყავს საქართველოს

**„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა და კოალიცია „ქართული ოცნების„ წარმომადგენელმა ირაკლი ალასანიამ მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო. როგორც ალასანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, კოალიცია „ქართული ოცნება“ პატივს მიაგებს გმირების ხსოვნას.**

— დღეს ძალიან მძიმე დღეა ყველასათვის. 4 წელი გავიდა ამ ტრაგედიის შემდეგ. მთელი საზოგადოება პატივს მივაგებთ იმ გმირებს, ვინც საკუთარი სიცოცხლე დათმო სამშობლოსათვის. ჩვენ ახლა მათ ოჯახებზე ზრუნვა გვავალია; ჩვენ უნდა მოვუფრთხილდეთ ცოცხალ გმირებს, რომლებიც ძალიან ბევრი ჰყავს საქართველოს. ის გაკვეთილი, რაც უნდა გამოვიტანოთ ოთხი წლის წინანდელი აგრესიისგან, არის ის, რომ ჩვენი თავდაცვისუნარიანობა იყოს ძალიან ძლიერი, რომ აღარ დავუშვათ ასეთი აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ინტერპრესნიუსი

# მიხეილ, შენ გიყვარს საქართველო?

## ანუ ლოზუნგი, რომლის რომელიმე ერთი პარტიის სლოგანად გამოყენება ყოვლად დაუშვებელია!

> **„რამცა სადა გაუმარჯვდეს კაცსა, ფიცთა გამტეხელსა!“**
> **შოთა რუსთაველი**

**სააკაშვილის ანტიეროვნული რეჟიმი, არჩევნების მოახლოების კვალობაზე, იმის ნაცვლად, რომ ცოდვების შემსუბუქებისა და შეცდომების გამოსწორებისთვის ზრუნავდეს, მორიგ მზაკვრულ გეგმებს უშუალოდ ახორციელებს, ქვეყნის გაერთიანების ნაცვლად, ქართველ ხალხში ყალბი პატრიოტიზმის უკიდურესი ფორმის დანერგვით განხეთქილება შეაქვს.**

კერძოდ, სააკაშვილის ხელისუფლებამ ნაცმოძრაობის ლოგოდ გაიხადა „მე მიყვარს საქართველო“. საქართველო, ჩვენი სამშობლო, რომელიც ყველასთვის საყვარელია, მისთვის მსახურება კი ნებისმიერი ქართველის უპირველესი მოვალეობა, ერთი პარტიის სპეკულირების საგნად გადაიქცა.

ყოველ პარტიას აქვს თავისი ლოგო, სლოგანი, მაგრამ ის, რაც საერთოა, ამ შემთხვევაში სამშობლოს გრძნობა, რომელიც სულიერ ღირებულებათა შორის უმაღლესი ღირებულებაა, არ შეიძლება გახდეს ერთი მცირე ნაწილის მიერ მიკერძოებული და პოლიტიკური სპეკულირების საგანი, მით უმეტეს ნაცმოძრაობისა, რომელთა ანტიეროვნულმა პოლიტიკამ საქართველოს განუზომელი ზიანი მიაყენა, და რომელიც ახლა უკვე ძალაუფლების შესანარჩუნებლად, მზად არის საკუთარი ხალხი ერთმანეთს დააპირისპიროს, საბოლოოდ გაწიროს.

ამ სიტყვების ჭეშმარიტებას მოწმობს ის სამწუხარო ფაქტი, რომ ბეშუმში შუამთოაბის ზეიმზე ხალხთან შესახვედრად ასულ „ქართული ოცნების“ ლიდერს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს თავის ასამდე თანამოაზრესთან ერთად, ხელისუფლების მიერ სხვადასხვა რაიონებიდან წინასწარ მომზადებულმა ათასზე მეტმა „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერმა, რომელთაც წითელ და თეთრ მაისურებზე 5 ნომერთან ერთად ეწერათ: „მე მიყვარს საქართველო“ შეძახილებით: თქვენ მოღალატეებოო, ძალად დაატოვებინეს ბეშუმის მთა და არ მოგვცეს ზეიმზე დასწრების, ხალხთან შეხვედრის საშუალება.

**ამ დროს, მიხეილ სააკაშვილმა ხალხთან შეხვედრისას განაცხადა, რომ თავის აშენებულ ქვეყანას სხვებს არ ჩააბარებს. ამ განცხადებით მან სრულიად გამორიცხა არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილების შესაძლებლობა, აღიარა თავისი დიქტატურა და ხალხს აღარ დაუტოვა ფიქრის შანსიც კი დემოკრატიის განვითარებისა. ქართველ ერს შეურაცხყოფა მიაყენა.**

ბეშუმში, მიხეილ სააკაშვილმა ლოზუნგით: „მე მიყვარს საქართველო“ „გაიმარჯვა“ — მან ორ ნაწილად გახლიჩა ქვეყანა: ერთ მხარეს „ნაცმოძრაობაა“, მეორე მხარეს კი — ქართველი ხალხის უმრავლესობა ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით.

დიდი მოაზროვნე იმანუელ კანტი ამბობდა: **„მიმდინარე პროცესებში, მოვლენებში ვერგარკვევა სიბრიყვეა, სიბრიყვის წამალი კი ჯერ არავის მოუგონიაო“.**

მე დღეს საქართველოში არ მეგულება ისეთი ადამიანი, რომელმაც ვერ გაიგო რომ ქვეყანა ხელიდან გვეცლება. ასეთ დროს სააკაშვილის რეჟიმის მხარდამჭერა განპირობებულია მხოლოდ სამსახურებით, ხელფასით, ბიზნესით და



ა.შ. ანუ პირადული ინტერესებითა და გულგრილობით, რამაც ქვეყანა ასეთ დღეში ჩააგდო.

ისინი, ვინც ჯერ კიდევ ვერ გარკვეულან არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობაში, გულუბრყვილოდ, „„მე მიყვარს საქართველო“ წარწერიანი წითელი თუ თეთრი მაისურებით უპირისპირდებიან დანარჩენ მოსახლეობას, უნდა დაფიქრდნენ იმაზე, რომ „ნაცმოძრაობას“ და მიხეილ სააკაშვილს, რომელიც 8 წლის განმავლობაში მიზანმიმართულად ეწევა ქვეყანაში გარყვნილობის პროპაგანდას, შეურაცხყოფს წინაპართა ძეგლებს, სახელებს, ებრძვის ყველაფერს ქართულს, ღირსეულს, წაბილწა ენა, სარწმუნოება, ქართველი ხალხი თურქეთისა და სხვა უცხოელების მონად აქცია ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ, მთავრობას, რომელიც ხელს უწყობს ერის გარყვნას, რისი მაგალითიც ქ. ბათუმსა და სოფ. გონიოში არსებული 100-მდე საროსკიპოა, და კიდევ რამდენი რამე უნდა ჩამოვთვალო, რათა ჩვენი ერის უბედურება აღვწეროთ, შეუძლებელია სინამდვილეში „უყვარდეს საქართველო“.

**აკადემიკოს ვანო პაპუნაშვილთან ერთად დამარწმუნებლად ვესაუბრეთ ადგილობრივი მოსახლეობის რამდენიმე წარმომადგენელს, ავუხსენით, რომ მათი საქციელი არ ნიშნავს „საქართველოს სიყვარულს“ ეს ყალბი პატრიოტიზმია... რაკი დარწმუნდნენ, რომ ყალბი პატრიოტიზმის ქადაგებით ხელისუფლებამ ისინი შეცდომაში შეიყვანა, სასწრაფოდ გაიხადეს მაისურები „მე მიყვარს საქართველო“ და „ქართული ოცნების“ მაისურები ჩაიცვეს. ასეთი მაგალითი იქ ბევრი იყო.**

აქედან გამომდინარე, ლოზუნგი — „მე მიყვარს საქართველო“ — არ შეიძლება იყოს გამოყენებული რომელიმე ცალკე პარტიის სიმბოლოდ, მით უმეტეს ქვეყნის დამაქცევარი „ნაცმოძრაობისა“. მოწოდება — „მე მიყვარს საქართველო“ — მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ერის ერთიანობას უნდა ემსახურებოდეს და არა მის დაყოფას, ყალბი პატრიოტიზმის ქადაგებას, რამაც ქვეყანა ასეთ დღეში ჩააგდო.

ამ ფაქტს პოლიტიკოსთა და იურისტითაგან განსაკუთრებული შეფასება უნდა მიეცეს.

**ვფიქრობ, კარგი იქნებოდა ათეულ ათასობით მაისურის და ქუდის გამოცემა წარწერით: „მე მიყვარს საქართველო“, ყოველგვარი პარტიული სიმბოლიკების გარეშე, რომელსაც ჩაიცვამს ყველა, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებისა. მაშინ სააკაშვილის მიერ აღნიშნული პროვოკაცია და სიყალბე ძალას დაკარგავდა. „მე მიყვარს საქართველო“ „ნაცმოძრაობის“ სენისაგან განიწმინდებოდა და ჩვეულ ღირსეულ სახეს დაიბრუნებდა.**



**ნიაზ ბოლქვაძე,**
**„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი თანადამფუძნებელი, მამულიშვილთა კავშირის თავმჯდომარე.**

ბლეფი თუ რეალობა?

# მოსალოდნელ პროგნოზებს ვერავინ გააკეთებს?

## გავხდებით თუ არა სენსაციური სკანდალის მოწმენი?

**მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოხდა სენსაცია, რომლის მონაწილეც გახლავთ აშშ-ის კონგრესმენი-რესპუბლიკელი რონ პოლი. მან პირველად ისტორიაში ეჭვქვეშ დააყენა ამერიკის ფედერალური სარეზერვო ფონდის საქმიანობა და მიაღწია კონგრესის გადაწყვეტილებას, რომ აუდიტორიულად შემოწმდეს ოქრო-სავალუტო რეზერვები.**

კონკრეტულად დაისვა კითხვა: არის თუ არა აშშ-ის ფედერალურ სარეზერვო სისტემის საცავებში დეკლარირებული 7 ათასი ტონა ოქროს ზოდები? არის თუ არა ოქროზე დამყარებული აშშ დოლარის სიმყარე მსოფლიო დონის ბლეფი? რა განწყობა შეიძლება შექმნას მსოფლიო ბაზარზე ასეთმა აუდიტმა და, აქედან გამომდინარე, რა შეიძლება მოუვიდეს აშშ დოლარის კურსს? კონგრესმენის სიტყვებით **„აშშ-ის ფედერალური რეზერვი არის რაღაც პარადოქსი. ყველამ იცის, რომ მანდ არ არის არანაირი რეზერვები, და, საერთოდაც, ეს არ არის ბანკი! ისინი უბრალოდ ქმნიან ფულს ჰაერიდან.**

**საჭიროა, დაწვრილებით ჩატარდეს რევიზია და აუდიტი, საჭიროა დავრწმუნდეთ ყველა მათ ქმედებაში, შესაძლოა ის, რასაც გავიგებთ მათ შესახებ, აღმოჩნდეს აბსოლუტური შოკი ყველასთვის.“** — ფიქრობს რონ პოლი.

**მკითხველის ინფორმაციისთვის:** ფედერალური სარეზერვო სისტემა (ანუ ფედერალური რეზერვიძ ბენ ბერნარკეს მეთაურობით არის აშშ-ის დე ფაქტო ცენტრალური ბანკი, რომელიც მართლაც ჩვენი დროის პარადოქსია მსოფლიო საფინანსო სისტემის მასშტაბებში. ფაქტია ისიც, რომ ფედერალურ სარეზერვო სისტემას მართლაც აქვს აშშ-ის ვალი 15 ტრილიონი დოლარის ოდენობით.

ამასთანერთად ფედერალური სარეზერვო სისტემა არის კერძო ბანკების ჯგუფი, რომელმაც 1913 წელს აშშ-ის კონგრესისგან და პრეზიდენტ ვ. ვილსონისგან მიიღო უფლება, მონოპოლიაზე. ეს მონოპოლია აძლევს უფლებას გამოუშვას აშშ დოლარის კუპიურები 100-წლიანი ვადით, ეს ვადა იწურება 2013 წელს.

დღემდე ითვლება, რომ ამ ბანკების ვინაობა ოფიციალურად კონფიდენციალურია. არაოფიციალურად კი გახდა ცნობილი, რომ ფედერალური რეზერვის 80%-ს ფლობს 8 უმდიდრესი ოჯახი, რომელთაგან მხოლოდ 4 არის აშშ-ის რეზიდენტი. ესენია: Goldman Sachs, Rockefellers, Lehmans и Kuhn Loebs ნიუ-იორკში, Rothschilds — პარიზში და ლონდონში, Warburgs ჰამბურგში, Lazards პარიზში, და Israel Moses Seifs რომში.

**ამ შემოწმების შედეგებმა არ შეიძლება არ იქონიოს გავლენა მიმდინარე მსოფლიო სავალუტო პოლიტიკაზე, და თუ მართლა დადასტურდება მოარული ჭორები ოქროს არ არსებობის შესახებ, მოსალოდნელი პროგნოზების გაკეთება უბრალოდ შეუძლებელია.**

**Commersant.ge**

ვითარება

# პირველი პირი თუ მთავარი კანონმდებელი?



## აგვისტოს შუა რიცხვებში სააკაშვილი გადადგება?

**პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, შესაძლოა, თანამდებობიდან გადადგეს და ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიას სათავეში ჩაუდგეს. ამ ვერსიის ხელაღებით მტკიცება ჯერ არავის შეუძლია, თუმცა, ასეთი ვარიანტი განიხილება.**

როგორც **from.ge**-ს ინფორმირებულმა წყარომ აცნობა, ნაციონალური მოძრაობის სათავო ოფისში, რომელიც კახეთის გზატკეცილზე მდებარეობს, მიხეილ სააკაშვილისთვის სამუშაო ოთახი უკვე მზადდება. ამაში უცნაური არც არაფერია, რადგან სააკაშვილი პარტიის თავმჯდომარეა და მას საკუთარ პარტიაში სამუშაო ოთახი სჭირდება.

**თუმცა, ვრცელდება არაოფიციალური ინფორმაცია, რომ ნაციონალების სიის პირველი ნომერი სწორედ სააკაშვილი იქნება და საარჩევნო კამპანიას ახალ ამპლუაში შეუდგება.**

**სწორედ ამის გამოა, რომ ნაციონალები დღემდე ასაიდუმლოებენ, თუ ვინ იქნება სიის პირველი ნომერი.**

**ერთ-ერთი ვერსიით, მიხეილ სააკაშვილი თანამდებობიდან 15-16 აგვისტოს გადადგება. თუ ეს ვერსია გამართლდა, მაშინ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ერთდროულად, ანუ 1 ოქტომბერს გაიმართება.**

როგორც ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები ამბობენ, მიხეილ სააკაშვილს ევროპამ და ამერიკამ არაერთხელ მიანიშნეს, რომ მათ არ სურთ საქართველოში პუტინის ვარიანტის ხილვა, ანუ პრეზიდენტის პრემიერად ტრანსფორმირება. სწორედ ამის გამოა, რომ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავებას არ ფიქრობს.

**სამაგიეროდ, სააკაშვილისთვის იდეალური ვარიანტია პარლამენტის თავმჯდომარეობა. ამას კი სააკაშვილი სხვაგვარად ვერ მოახერხებს, თუ არა არჩევნებში მონაწილეობით და პარლამენტში მოხვედრით.**

**გადადგება თუ არა მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის თანამდებობიდან და ჩაუდგება თუ არა საპარლამენტო სიას სათავეში? ამ შეკითხვაზე მმართველი პარტიის წევრების ნაწილს ეცინება, ნაწილი კი კომენტარის გაკეთებაზე უარს ამბობს.**

ისე, ეს შეკითხვა უმრავლესობის რამდენიმე წევრისთვის იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ მათ კომენტარის გაკეთებაც კი ვერ შესძლეს. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებიდან ამ შეკითხვაზე კომენტარი ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა გააკეთა.

**„ასეთი ტიპის განცხადება, ვინ იქნება პირველი ნომერი, ან ვინ სად იქნება, მოარული ხმებისა და სპეკულაციების დონეზეა. ისე, როგორც მანამდე იყო მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით, რომ ის პრემიერი გახდება ან პარლამენტის თავმჯდომარე. რაღაც ვერსიები, თეორიული შანსები არსებობს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების, მაგრამ ნამდვილად არ შემიძლია დავადასტურო ან ერთი ან მეორე ვერსია, ჩვენ ხშირად გვაქვს საუბარი, მაგრამ არც ერთხელ არ ყოფილა ლაპარაკი პრეზიდენტის გადადგომაზე. ჯერჯერობით, საარჩევნო სიის სათავეზე, ან ათეულზე, ოცეულზე საუბარი არ ყოფილა“,** — აღნიშნა გიგი წერეთელმა.

მიუხედავად ასეთი განცხადებისა, არსებობს დიდი ალბათობა, რომ მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის პოსტიდან გადადგეს და საკუთარი პარტიის სიას სათავეში ჩაუდგეს.

მიხეილ სააკაშვილის გადადგომას არ მოელის ოპოზიციონერი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი. იგი აცხადებს, რომ კონსტიტუციის თანახმად, 2 არჩევნების — საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ერთდროულად ჩატარება შესაძლებელია და ამაში უკანონო არაფერია, თუმცა, მიზანშეწონილი არ არის, რადგან ეს თარიღები ერთმანეთს არ უნდა ემთხვეოდეს.

**„კერძოდ, ნებისმიერ ქვეყანას, მათ შორის ჩვენც გაგვიჭირდება ორი არჩევნების ერთად ჩატარება, რადგან ამას უზარმაზარი ხარჯი სჭირდება. გარდა ამისა, არჩევნების ორი თარიღის დამთხვევა ფორსმაჟორია, რაც ხელისუფლებას არ უნდა აწყობდეს, რადგან ამით ნაციონალური მოძრაობა და სააკაშვილი აღიარებს, რომ ქვეყანაში გამოუვალი კრიზისია. სააკაშვილი, თავის პოლიტიკურ გუნდს არ ენდობა, მას საშუალებას არ აძლევს დამოუკიდებლად გამოვიდეს პოლიტიკურ ასპარეზზე. სააკაშვილი დარწმუნებული არ არის მათ მიერ ჩატარებული წინასაარჩევნო კამპანიის შედეგებში. ნაციონალური მოძრაობა უავტორიტეტო პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც დაფუძნებულია მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის რეიტინგზე და შსს-ს ძალმომრეობით აპარატზე“,** — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

მას წარმოუდგენლად მიაჩნია სააკაშვილის თანამდებობიდან გადადგომა, რადგან **„ეს იქნება ნაციონალური მოძრაობის სრული კრახი და იმის აღიარება, რომ მათ საპარლამენტო არჩევნები იქამდე წააგეს, სანამ ჩატარდება“.**

იგი არ მალავს, რომ სააკაშვილის თანამდებობიდან გადადგომა კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ორი მიზეზის გამო აწყობს.

**„პირველი — ჩვენ მშვიდობიანი გზით გავისტუმრებთ მიხეილ სააკაშვილს ხელისუფლებიდან და მეორე — ის დაკარგავს იმ ბერკეტს, რაც გააჩნია, როგორც პრეზიდენტს“,** — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

მისივე განმარტებით, საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში „ქართულ ოცნებას“ ღირსეული კანდიდატურა ეყოლება, რომელიც ნამდვილად მოუგებს ნაციონალურ მოძრაობას.

**მიუხედავად ასეთი განცხადებისა, არსებობს დიდი ალბათობა, რომ მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის პოსტიდან გადადგეს და საკუთარი პარტიის სიას სათავეში ჩაუდგეს.**

**თუ ეს მოხდება, მაშინ ორი არჩევნები ერთმანეთს დაემთხვევა და საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ერთად ჩატარდება. ასე, რომ ერთ კვირაში გაირკვევა, რამდენად აქვს ამ ვერსიას არსებობის საფუძველი და სურს თუ არა სააკაშვილს პირველი პირის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ქვეყნის მთავარი კანონმდებლის ადგილის დაკავება.**

**For.ge**

მოქალაქეთა ჟამი

# რა ახარებდა პრეზიდენტს?

## ბრძოლა უშეღავათო იქნება!

**...2004 წელს ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას ქვემო ქართლის ერთ-ერთი წარმომადგენლის შეკითხვას — როგორ ესახება საქართველოს პრეზიდენტს ქვემო ქართლის ეკონომიკური განვითარება — უპასუხა, ქვემო ქართლში ტურიზმი უნდა განვითარდესო.**

**ბატონი პრეზიდენტის სიტყვები ქვემო ქართლელებმა ერთ ყურში შეუშვეს და მეორიდან გამოუშვეს, რადგან მიხვდნენ რომ ბატონი პრეზიდენტი გაგებაში არ იყო, თუ რა ხდებოდა ქართულ სოფელში!**

**ამას წინათ, ბატონმა პრეზიდენტმა ხრეითელებს წარუდგინა ახალი პრემიერი და განაცხადა, რომ ბატონი ვანო მერაბიშვილი სოფელში გაზრდილი კაცია და მან სოფლის პრობლემები კარგად იცისო.**

**დაიჯერეს ვითომ ხრეითელებმა (მათთან ერთად საქართველომ), რომ ასე მარტივად არის საქმე?**

**არა, ეს არავინ არ დაიჯერა!**

ხრეითელებს ბატონი პრეზიდენტის განსაკუთრებით ის სიტყვები დაამახსოვრდებოდათ, როცა ამტკიცებდა, რომ ყველაფერი კარგად არის. ციფრებით და ევროპელთა მიერ ჩატარებული გამოკვლევებით ჩვენ, თურმე, გასაოცარ წარმატებებს მივაღწიეთ, მაგრამ სოფელში მაინც ცუდად არის საქმე, სოფლიდან ხალხი გარბისო!

ეკადრება ბატონ პრეზიდენტს ასეთი „ცარიელი“ მსჯელობა? ციფრები ტყუიან? თუ ციფრები არ ტყუიან და ევროპელთა გამოკვლევებით საქმე ძალიან კარგად არის, ის სიკეთე და წარმატებები, რასაც თურმე მივაღწიეთ, რატომ არ მივიდა სოფლამდე? იქნებ მივიდა იმ ოდენობით, რა ოდენობის „წარმატებებსაც“ მიაღწია ქვეყანამ?

როგორც ვხედავთ, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ან ეკონომიკური ვარდნის საზომი ხელისუფლებას არა აქვს.

ერთი ფაქტი:

ჩვენი პოლიტიკოსები თუ პოლიტიკანები, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში, ერთხმად ამტკიცებენ, რომ საქართველოში სოფლად ცხოვრობს მოსახლეობის ნახევარი და მათი წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში შეადგენს მხოლოდ 8 პროცენტს.

ასეთ აბსურდს ისმენს ჩვენი ინტელიგენცია და, როგორც ჩანს, ეთანხმება კიდეც მას.

...ორიოდე თვის წინათ ბატონმა პრეზიდენტმა ქ. თბილისში ყველის ქარხანა გახსნა. ქარხანაში დასაქმებულებმა განაცხადეს, რომ რძის შესაძენად მრავალ სოფელში მოუხდათ შესვლა. როგორც ხვდებით, ამ ქარხნის ეკონომიკური მაჩვენებლები, მათ შორის მშპ მიეწერება ქალაქს.

ათამდე ასეთი ქარხნის დასახელება შემიძლია, რომლებიც სოფლებშია განთავსებული, ყველსაც ადგილზე ამზადებენ, გაყიდვით კი თბილისის მაღაზიებში ყიდიან. აქაც ეკონომიკური მაჩვენებლები და მშპ-ც ეწერება ქალაქს.

უნდა ითქვას, რომ მშპ როგორც აგრარულ ისე სხვა სექტორში, კაპიტალისტური სამყაროს მიერ შემოგდებული კატეგორიაა, რომლითაც განსაზღვრავენ ქვეყნის მოქალაქეთა გადახდისუნარიანობას. როდესაც უცხო ქვეყნებიდან შემოგვაქვს ინვესტიციები, სამრეწველო და სასოფლო პროდუქცია, ქვეყნის ეკონომიკაში ზრდაზე (ე. ი. მშპ-ს ზრდაზე) აპელირება მოქალაქეთა თვალებში ნაცრის შეყრაა!

ბოლო ხანს ქვეყანაში გასაოცარი პოპულარობა მოიპოვა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა და კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“. ბატონი ივანიშვილის პოპულარობა მნიშვნელოვნად განაპირობა მისმა განცხადებამ, რომ „ქართული ოცნების“ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში მუნიციპალურ საკრებულოებს დაუბრუნებს თავიანთ უფლებებს.

შეძლებენ ამ დაპირების შესრულებას ბატონი ივანიშვილის მხარდამჭერები?

უნდა შეძლონ!

ბრძოლა, ალბათ, უშეღავათო იქნება.

**ნუგზარ კობერიძე,**
ბოლნისი

**P. S.** ქვეყანა **შეძრა იმ სტიქიური უბედურების მასშტაბებმა, რომელიც თავს დაატყდა კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და მესხეთ-ჯავახეთის მცხოვრებლებს. მე და ჩემი მეგობრები გაგვაოგნა ბატონი პრეზიდენტის გახარებულმა სახემ, როცა იგი დაზარალებულ კახელებს ხვდებოდა და კახეთის „ჯერარნახულ აღმშენებლობაზე“ ბაქიბუქობდა! ნეტა რა ახარებდა?**

**ნ. კ.**

ინფორმაცია

## „ელიტა ბურჯის“ იურისტს ოცდღიანი პატიმრობა შეეფარდა

**კომპანია „ელიტა ბურჯის“ იურისტს იმედა ნიკურაძეს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ოცდღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა .**

**დღევანდელ სასამართლო პროცესს მოსამართლე ნანა დარასელია უძღვებოდა. როგორც სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ იმედა ნიკურაძის ადვოკატმა ალა კახნიაურმა განაცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფს პატიმრობა პოლიციელისადმი დაუმორჩილებლობის მუხლით შეეფარდა, თუმცა გადაწყვეტილება უკანონოა.**



**მისი განმარტებით, იმედა ნიკურაძის ქმედება კანონიერი იყო, რადგან „ელიტა ბურჯის“ ტერიტორიაზე 6 აგვისტოს სამართალდამცველები უკანონოდ იმყოფებოდნენ. ადვოკატი განმარტავს, რომ შპს „ბურჯის“ ტერიტორიაზე აღსრულების ბიუროს შემოსვლის უფლება მხოლოდ მას შემდეგ ჰქონდა, რაც მესაკუთრე დასახელდებოდა.**

**— მესაკუთრე 7 აგვისტოს დასახელდა და აქედან გამომდინარე, ამის შემდეგ ჰქონდა მას უფლება მიემართა აღსრულების ბიუროსთვის შენობის დაცლის მოთხოვნით. ის შემთხვევა, რაშიც იმედა ნიკურაძეს ბრალს სდებენ, 6 აგვისტოს მოხდა, მაშინ, როდესაც შპს „ბურჯის“ ტერიტორიაზე განთავსებულ „ელიტა ბურჯში“ დაცვის პოლიცია და აღმასრულებლები უკანონოდ იმყოფებოდნენ, — განაცხადა ალა კახნიაურმა.**

## „ელიტა ბურჯი“ შპს „ბურჯის“ ფართში წლის ბოლომდე დარჩება

**„ელიტა ბურჯი“ აუქციონზე გაყიდული შპს „ბურჯის“ ფართში წლის ბოლომდე დარჩება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ელიტა ბურჯის“ გენერალურმა დირექტორმა თენგიზ გვაზავამ განუცხადა, „ბურჯის“ ახალი ხელმძღვანელობა ამაზე თანახმაა.**

**— პირობებს არ ცვლიან და ახალ წლამდე ვაგრძელებთ საიჯარო ხელშეკრულებას. ამ შეთანხმებას სატელეფონო საუბრებით მივაღწიეთ. შეხვედრა „ბურჯის“ ახალ მესაკუთრესთან ხვალ გვაქვს დაგეგმილი, — განაცხადა თენგიზ გვაზავამ.**

**ბოგდან ხმელნიცკის 342-ში მდებარე შპს „ბურჯის“ ფართი, სხვა ქონებასთან ერთად, აუქციონზე 2 აგვისტოს გაიყიდა. აღნიშნული ფართის ნაწილი შპს „ელიტა ბურჯს“ აქვს ნაქირავები და მასში ხისა და პროფილების საამქროებია განთავსებული. საიჯარო ხელშეკრულება „ელიტა ბურჯს“ 2013 წლის მაისამდე აქვს დადებული. „ბურჯი“ შპს „გამამ“ შეიძინა, რომლის დირექტორი გიორგი ყავლაშვილია.**

ინტერპრესი

**უცხოური პრესიდან**

# სააკაშვილი და პუტინი „ტყუპი ძმები“ არიან,

## აცხადებს საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი

**ვარშავის ბიზნეს ჟურნალმა ინტერვიუ აიღო თედო ჯაფარიძისგან. იგი ვარდების რევოლუციის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ამჟამად კი ოპოზიციონერი პოლიტიკოსია. ჩვენ მასთან ვისაუბრებთ ქართულ დემოკრატიაზე, საქართველოს ახლანდელ პრეზიდენტზე – მიხეილ სააკაშვილზე და საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრების შესაძლებლობებზე.**


International politics

Former Georgian FM says Saakashvili and Putin are 'twin brothers'

WBJ sat down with Tedo Japaridze, foreign minister of Georgia after the Rose Revolution and now an opposition politician, to talk about Georgian democracy, current President Mikheil Saakashvili and the prospects for possible EU and NATO membership for his country

Remi Adekoya: In 2010, you penned an article stating that Georgia is undemocratic and illiberal. How do you see the situation right now?

not institutionalized democracy.

So would you draw a parallel between Mr Saakashvili and Vladimir Putin for example?

The Americans and the West in general call Saakashvili Georgia's beacon of democracy while they consider Putin to be authoritarian. But stylistically their way of ruling is identical, the way they treat the press, the way they treat parliament and democracy in general. They are twin brothers.

President Putin's power comes from the security services. What about President

men would go directly to him to discuss matters and not to the then-PM because they knew it was the security services which were governing Georgia.

Recent opinion polls have your party, Georgian Dream, with 18 percent support and gaining in popularity. So perhaps it's not so bad?

In general we do not trust opinion polls, but it is true that there is a downward trend in Saakashvili's popularity.

Which elections are more important for Georgia, this

tools to promote his own personal interests.

Do you expect vote-rigging in this year's parliamentary elections?

We hope there won't be. That's why we are encouraging the international community to observe the elections carefully. It will be crunch time for Georgian democracy. But the election has already been stolen thanks to the constant harassment of the opposition. The international community should be vigilant because if something goes wrong in Georgia, it would affect Euro-

"Power corrupts and absolute power corrupts absolutely ... It is the typical post-Soviet syndrome of one-man governance"

Pan of the Caucasus, not yet grown up. NATO and the EU will not happen tomorrow, nothing happens that way. We need to work inside Georgia to make it a normal country that can contribute to stability within NATO. That is the task ahead of us.

You also once said Saakashvili provoked the war in 2008 thinking it would fast-track Georgia's accession into NATO.

His mistake was jumping into a trap set by the Russians who in 2008 were not doing anything they hadn't been doing for centuries. Saakashvili thought the West would be ready to fight for Georgia. Well, they weren't.

What do you think of the EU's Eastern Partnership program, which is strongly supported by Poland? Is it working?

**– 2010 წელს თქვენ დაწერეთ სტატია, რომელშიც განაცხადეთ, რომ საქართველო არადემოკრატიული და არალიბერალური ქვეყანაა. რას ფიქრობთ, როგორია ამჟამად სიტუაცია ქვეყანაში?**

– ამჟამად სიტუაცია უფრო უარესია, ვიდრე ეს იყო ორი წლის წინათ. ჩვენ სერიოზული პრობლემები გვაქვს ჩვენი დემოკრატიის ხარისხიდან გამომდინარე, განსაკუთრებით თუ საქმე ეხება დემოკრატიის ისეთ ბუნებრივ კომპონენტებს, როგორიცაა დამოუკიდებელი მედიასაშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოება და თავად საარჩევნო პროცესი.

**– გამოდის, რომ ოპოზიციას თანაბარი სათამაშო მინდორი არა აქვს?**

– მართალი ბრძანდებით. ოპოზიციას საშინლად ექცევიან, მათ აპატიმრებენ, ქვებს ესვრიან, საჯაროდ ამცირებენ – არა მარტო მათ, ასე ექცევიან მათი ოჯახის წევრებსაც. პოლიტიკა ყველგან ძალაუფლებისთვის ბრძოლაა, მაგრამ საქართველოში იგი გაცილებით სასტიკია ვიდრე ისეთ ქვეყანაში, როგორიც პოლონეთია. საქართველოში გამძვინვარებული ბრძოლა მიმდინარეობს ძალაუფლებისთვის და იმ მატერიალური სიკეთისათვის რაც ძალაუფლებას მოაქვს.

**– ვარდების რევოლუცია როგორ გადაგვარდა, როგორ დაეცა იმ დონემდე, რომელსაც ამჟამად აღგვიწერთ?**

– ალბათ გაგიგონიათ ფრთიანი ფრაზა: ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება კი რყვნის აბსოლუტურად. სააკაშვილი ახლა მხოლოდ თვითონ ფლობს ამ ძალაუფლებას. მან ჩამოიშორა ყველა თანამოაზრე ვარდების რევოლუციის პერიოდიდან. მას უზომო ძალაუფლება აქვს, ყოველგვარი კონტროლისა და დაბალანსების გარეშე. ჩვენ გვყავს დაშტამპული, საკუთარი აზრის არმქონე პარლამენტი, რომელსაც იგი მთლიანად აკონტროლებს. იგი ასევე აკონტროლებს ყველა ნაციონალურ მედიასაშუალებასა და სატელევიზიო არხებს, სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობს. ეს არის ერთკაციანი ხელისუფლების ტიპიური პოსტსაბჭოთა სინდრომი და იგი არ ახასიათებს ინსტიტუციონალიზებულ დემოკრატიას.

**– ესე იგი, თქვენ გაავლებდით პარალელს, მაგალითად, ბატონ სააკაშვილსა და ვლადიმერ პუტინს შორის?**

– ამერიკელები და, ზოგადად, დასავლეთი სააკაშვილს დემოკრატიის შუქურას უწოდებს, მაშინ, როცა ისინი პუტინს ავტორიტარულ მმართველად თვლიან. თუმცა სტილისტურად მათი მართვის სტილი ერთნაირია: იქედან გამომდინარე, თუ როგორ ექცევიან პრესას, როგორ ექცევიან პარლამენტს და ზოგადად დემოკრატიას, ისინი ტყუპი ძმები არიან.

**– პრეზიდენტ პუტინის ძალაუფლება უშიშროების სამსახურზეა დამყარებული. რას იტყოდით პრეზიდენტ სააკაშვილზე – ვინ უნარჩუნებს მას ძალაუფლებას?**

– სააკაშვილმა ერთხელ განაცხადა, რომ იმჟამინდელი უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი, შინაგან საქმეთა მინისტრი (და ახლახანს დანიშნული პრემიერ მინისტრიძ ვანო მერაბიშვილი საქართველოს დემოკრატიის ხერხემალიაო. რომელ ქვეყანაში, რომელიც თავს დემოკრატიულად მიიჩნევს, ხდება ასეთი რამ, რომ, პრეზიდენტის აზრით, უშიშროების შეფი წარმოადგენს დემოკრატიის ხერხემალს და არა დემოკრატიული ინსტიტუციები ან კანონის უზენაესობა? როდესაც ბატონი მერაბიშვილი საქართველოს უშიშროების აპარატს ხელმძღვანელობდა, უცხოელი ბიზნესმენები პირდაპირ მასთან მიდიოდნენ საკითხების განსახილველად და არა მაშინდელ პრემიერ-მინისტრთან, რადგანაც კარგად იცოდნენ, რომ საქართველოს უშიშროების სამსახური მართავდა.

**– ახლახან ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ თქვენს პარტიას, ქართულ ოცნებას 18 პროცენტი უჭერს მხარს და მისი პოპულარულობა თანდათან იზრდება. იქნებ საქმე არც ისე ცუდად არის?**

– ჩვენ ზოგადად მაინცდამაინც არ ვენდობით საზოგადოების გამოკითხვას, თუმცა სიმართლეა, რომ სააკაშვილის პოპულარობაში კლების ტენდენცია შეიმჩნევა.

**– რომელი არჩევნები უფრო მნიშვნელოვანია საქართველოსათვის - წლევანდელი საპარლამენტო არჩევნები თუ მომავალი წლის საპრეზიდენტო არჩევნები?**

– საპარლამენტო არჩევნები აშკარად უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ეს არჩევნები გადაწყვეტს, თუ როგორი მთავრობა ეყოლება საქართველოს. შესაძლოა, გაგიგონიათ, რომ რადგანაც სააკაშვილი თავისი პრეზიდენტობის მეორე და უკანასკნელ ვადას ასრულებს, მან გადაწყვიტა საქართველოს კონსტიტუციის შეცვლა, რათა საქართველო საპარლამენტო ქვეყნად გადაექცია. ვარდების რევოლუციიდან დაწყებული, მან კონსტიტუციაში ორასზე მეტჯერ შეიტანა ცვლილებები. აი, ასე იყენებს ის დემოკრატიულ ინსტიტუციებს პირადი ინტერესების მისაღწევად.

**– როგორ ფიქრობთ, გაყალბდება წლევანდელი საპარლამენტო არჩევნები?**

– იმედი გვაქვს, რომ არ გაყალბდება. სწორედ ამიტომ მოვუწოდებთ საერთაშორისო საზოგადოებას, რომ ყურადღებით დააკვირდნენ არჩევნებს. ეს გადამწყვეტი მომენტი იქნება ქართული დემოკრატიისთვის. თუმცა, ხმები უკვე მოპარულია ოპოზიციის მუდმივი დევნის გამო. საერთაშორისო საზოგადოება ფრთხილად უნდა იყოს, რადგანაც თუ საქართველო გზას ასცდება, ეს მთლიანობაში ევროპის უშიშროებაზეც მოახდენს გავლენას. ჩვენ საკმაოდ რთული სამეზობლო გვყავს რუსეთის, ირანის, თურქეთისა და აზერბაიჯანის სახით.

**– თქვენი პარტია მხარს უჭერს ევროკავშირსა და ნატოში გაერთიანებას?**

– დიახ, ჩვენ მხარს ვუჭერთ, თუმცა, ამავე დროს, ჩვენ უფრო რეალისტები ვართ ამ საკითხში, ვიდრე სააკაშვილი და მისი თანამოაზრეები. ჩვენ არ ვპირდებით, რომ ეს ხვალევე მოხდება, როგორც ამას სააკაშვილი ამბობს. ჩვენ არც ბერლინის ახალი კედელი ვართ და არც ამის რიტორიკული შექმნის საჭიროება არსებობს, რადგანაც დასავლეთი ჯერ კიდევ ებრძვის ძველი ბერლინის კედლის მიერ გამოწვეულ პრაქტიკულ პრობლემებს. საქართველო კავკასიის პიტერ პენია, იგი ჯერ არ დაკაცებულა. ნატოში და ევროკავშირში შესვლა ხვალვე ვერ მოხერხდება – ასე სწრაფად არაფერი ხდება. ჩვენ თავად უნდა ვიმუშაოთ საქართველოს შიგნით, რათა იგი ნორმალურ ქვეყანად გადავაქციოთ, რომელიც სტაბილურობის თვალსაზრისით თავის წვლილს შეიტანს ნატოში. ეს უკვე ჩვენი მომავლის ამოცანაა.

**– თქვენ ასევე ერთხელ ბრძანეთ, რომ სააკაშვილმა 2008 წლის ომის პროვოცირება მოახდინა, რადგანაც ფიქრობდა, რომ ეს საქართველოსათვის ნატოში სწრაფად მოხვედრის გზა იყო.**

– მისი შეცდომა ის იყო, რომ ის რუსების მიერ დაგებულ ხაფანგში გაება. რუსებს არაფერს ისეთს არ აკეთებდნენ 2008 წელს, რაც მათ საუკუნეების მანძილზე არ უკეთებიათ. სააკაშვილს ეგონა, დასავლეთი მზად იქნებოდა საქართველოსათვის ებრძოლა. სინამდვილეში დასავლეთი ამისთვის მზად არ იყო.

**– რას ფიქრობთ ევროკავშირის აღმოსავლეთთან პარტნიორობის პროგრამაზე, რომელსაც პოლონეთი ინტენსიურად უჭერს მხარს? კარგად მუშაობს ეს ფორმატი?**

– დიახ, ეს პროგრამა მუშაობს. რასაკვირველია, ჩვენ გვინდა უფრო მეტი დინამიკა დავინახოთ, მაგრამ ვიცით, რომ ამას დრო სჭირდება. ამავდროულად, პოლონეთი ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოკავშირეა და მე ამას ლამაზი სიტყვების გულისთვის არ ვამბობ. პოლონეთი უკვე დიდი ხანია, ემოციურად არის მჭიდროდ დაკავშირებული საქართველოსთან. იგი უკვე არის CEE-ის ლიდერი და აქედან გამომდინარე, პასუხისმგებელია, რომ CEE-ის რეგიონის საზღვრებს მიღმაც გაიხედოთ და ნაცრისფერი ზონის ქვეყნებსაც მიაქციოს ყურადღება. როგორც უკვე მოგახსენეთ, თუ საქართველო გზას ასცდა, ეს პოლონეთსაც და ევროპასაც რიკოშეტით მიუბრუნდება.

WARSAW BUSINESS JOURNAL

**როგორ გვეხმარებიან?**

# სასწრაფო დახმარებას სასწრაფო რეანიმაცია სჭირდება!

**სასწრაფო დახმარება უკვე იმდენად ნელა მოქმედებს, რომ ვეღარც დახმარებას ახერხებს და სისწრაფეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. სასწრაფო დახმარების ბრიგადების დაგვიანების შედეგმა საბედისწერო შედეგი მოიტანა ქობულეთში. აღმაშენებლის ქუჩაზე მომხდარ ავტოავარიას ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ქობულეთელები ყვებიან, რომ სასწრაფოს ბრიგადა გამოძახებიდან ერთი საათის დაგვიანებით მივიდა.**

**ავტოავარიის შემსწრე ადამიანებმა სასწრაფო დახმარების ბრიგადა შემთხვევიდან რამდენიმე წუთში გამოიძახეს და გადაცემული იყო ინფორმაცია, რომ ორი სასწრაფო იყო საჭირო, ვინაიდან, ადგილზე ორი დაშავებული ადამიანი იმყოფებოდა.**

პირველი სასწრაფო დახმარების მანქანა ადგილზე დაახლოებით 40 წუთის შემდეგ მივიდა, რომელმაც დაშავებული ქალის ტრანსპორტირება მოახდინა, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი მეორე ტურისტი კი ადგილზე დატოვა. მეორედ გამოძახების შემდეგ კი, სასწრაფო დახმარების ბრიგადას ადგილზე მისასვლელად ისევ ნახევარი საათი დასჭირდა.

როგორც ადგილობრივები ყვებიან, დაშავებულ მამაკაცს მძიმე დაზიანებების მიუხედავად, პულსი ჯერ კიდევ ესინჯებოდა, თუმცა სასწრაფო დახმარების მოსვლის შემდეგ გულისცემა უკვე შესუსტებული ჰქონდა.

ანალოგიური შემთხვევა ქობულეთისთვის პირველი არ არის. ადგილობრივების თქმით, სასწრაფო დახმარების ბრიგადის დაგვიანების ფაქტი ბევრჯერ დაფიქსირდა. ერთ-ერთი დაზარალებული ამბობს, რომ 2012 წლის იანვარში, როცა ქობულეთის გზები პრაქტიკულად ცარიელია, სასწრაფოს 45-წუთიან დაგვიანებას მისი მეუღლის სიცოცხლე ემსხვერპლა.




თავის მხრივ, მოსახლეობა ახალი და გამართული სასწრაფო ბრიგადების დანიშვნას და კვალიფიციურ ექიმებს ითხოვს.

**„ქობულეთი ტურისტული ადგილია, მაგრამ მიუხედავად ამისა, რაიონს მხოლოდ სასწრაფო დახმარების სამი მანქანა ემსახურება, ისიც გაუმართავი და საბჭოთა დროინდელი მანქანებია. ამას ემატება ექიმების არაკვალიფიციურობა, რის გამოც ხშირია შემთხვევა, როცა დაგვიანებით მოსული სასწრაფოს შემდეგაც ექიმებს პაციენტისთვის საჭირო დახმარებაც ვერ აღმოუჩენიათ. მოვითხოვთ, ჯანდაცვის სამინისტროსგან ყურადღება მოგვაქციოს და ახალი ბრიგადები დაგვინიშნოს, მით უმეტეს ტურისტულ სეზონზე, როცა ქობულეთში ხალხმრავლობაა“,** – აცხადებენ ქობულეთელები სააგენტო „პირველთან“ საუბრისას.

**ეს პრობლემა, პირველი არ არის და არც უკანასკნელი იქნება, რადგან ასეთმა შემთხვევებმა თვალშისაცემად იმატა. შესაბამისად, იმატა სასწრაფო დახმარების თანამშრომელთა წინააღმდეგ მიმართულმა ფიზიკურმა ქმედებებმა.**

**რამდენიმე კვირის წინათ, ქუთაისის ინციდენტს პაციენტის სიცოცხლე და ექიმის ჯამრთელობა შეეწირა. გამოძიება ჯერჯერობით კიდევ მიმდინარეობს. ხშირია შემთხვევები, როდესაც სასწრაფოს ბრიგადები იგვიანებენ დედაქალაქშიც. მიუხედავაად იმისა, რომ თბილისში სასწრაფო დახმარება ტექნიკურად ძალზედ გამართულია და ქალაქის მასშტაბით მრავალი ეკიპაჟიც მოძრაობს, 30-40 წუთის დაგვიანება აქ ჩვეულებრივ ამბად იქცა.**

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის არაოპერატიულობაზე საუბრობენ ექიმთა პროფკავშირებშიც.

**„დაგვიანების ფაქტები არ შეგვისწავლია, თუმცა ასეთი შემთხვევა საქართველოს მასშტაბით მრავლად ხდება. სასწრაფო დახმარების ბრიგადებში მომუშავე მედპერსონალს ამაში ბრალი არ მიუძღვის. ცხადია, დამნაშავეა სისტემა, რომლის დაუდევრობითაც უბედური შემთხვევა ხდება. ნებისმიერ ასეთ ფაქტზე პასუხისმგებლობა თავად ამ სისტემის წარმომადგენლებმა უნდა იკისრონ, რომელთაც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხარისხიანი მუშაობა და ოპერატიული ღონისძიებების გატარება ევალებათ“,** – აცხადებენ ექიმთა პროფკავშირებში.

ჯერჯერობით ჯანდაცვის სამინისტრო დუმს. ახალ მინისტრს ზურაბ ჭიაბერაშვილს სისტემაში იმდენი პრობლემა დახვდა, რომ პრობლემების გადასაჭრელად თვითონ სჭირდება დახმარება და თანაც სასწრაფოდ

**ეკა ბაქრაძე**

გლობუსი

**აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის რომნის უცხოური ვოიაჟი მთელი რიგი გამონათქვამებით იყო დახუნძლული, რამაც უდავოდ არ მოუტანა მას ის წარმატება, რასაც კანდიდატი და მისი გუნდი ელოდა. თუმცა, ოპტიმისტები გულს არ იტეხენ და, ამბობენ, რომ რომნიმ მოხიბლა ისრაელის ხელისუფლება, ქვეყნის მოსახლეობა, რაც თავისთავად იმოქმედებს ამერიკულ ებრაელობაზე, ებრაულ ლობიზე, რომლის საარჩევნო ძალა მნიშვნელოვანია. ხუმრობა ხომ არ არის, მსოფლიოში მცხოვრები 13.580 ათასი ებრაელიდან 81% ისრაელსა და ამერიკაში ცხოვრობს, კერძოდ აშშ 5.275 ათასი, ხოლო ისრაელში — 5.708.700.**

რომნის უცხოური ვოიაჟი ობამას საგარეო პოლიტიკის სისუსტის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო. ვიზიტის ამოცანა სამ მეგობარ ქვეყანაში — დიდ ბრიტანეთში, ისრაელსა და პოლონეთში უნდა დაენახვებინა ამერიკელი ამომრჩევლისთვის ობამას სისუსტეები, როგორც მეგობარი ქვეყნების, ისე მტრებისა და მეტოქეების მიმართ. რესპუბლიკელები ჩააჩიჩინებენ ამომრჩევლებს ობამას სისუსტეს, გულუბრყვილობას და მეგობრულ განწყობას მტრებისა და მეტოქეების, ხოლო ცივ და ნაკლებად სანდო დამოკიდებულებას მეგობრების მიმართ. მიღწეული იქნა თუ არა სასურველი შედეგი, მომავალი გვიჩვენებს. ჯერჯერობით პრეზიდენტობის კანდიდატების რეიტინგი თანაბარია.

ისრაელში ვიზიტის დროს რომნი შეეცადა, ობამა-ნეთანიაჰუს რთულ ურთიერთობებზე აქცენტირებით მოეპოვებინა პოლიტიკური დივიდენდები, რასაც ნაწილობრივ მიაღწია. ნეთანიაჰუს და ებრაელ პოლიტიკოსთა მტკიცე მხარდაჭერა რესპუბლიკელთა კანდიდატისთვის ბევრს ნიშნავს, განსაკუთრებით ობამა-ნეთანიაჰუს ოთხწლიანი გაურკვევლობის ფონზე. რესპუბლიკელები ცხარედ აკრიტიკებენ ობამას ისრაელისადმი ცივი დამოკიდებულებისთვის. მაგალითად მოჰყავთ ის, რომ ოთხი წლის განმავლობაში ობამამ ვერ მოიცალა სტრატეგიული პარტნიორისთვის და ერთხელაც არ ჩავიდა ისრაელში მაშინ, როდესაც ეწვია ისრაელის მეზობელ ქვეყნებს.

ოთხი წლის განმავლობაში ისრაელის ხელისუფლებას მუდამ ჰქონდა თეთრი სახლის პოლიტიკის მიმართ უკმარისობის გრძნობა. ნეთანიაჰუს გონებაში ჩაბეჭდა მიკროფონის მიღმა ობამას მიერ ნათქვამი სიტყვები, დაახლოებით ასეთი შინაარსისა — აბა, მე მკითხე, როგორ მომაბეზრა თავი ნეთანიაჰუმ. ეს იყო პასუხი საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის სარკოზის ნათქვამზე — ნეთანიაჰუ აუტანელიაო.

პოლიტიკოსები ადამიანები არიან და მათთვისაც ჩვეულია გულისწყრომა. ზოგი გულსატკენ ნათქვამს მედგრად იტანს, ზოგი თითქოს ყურადღებას არ აქცევს, საჯარო განცხადებებს არ აკეთებს, თუმცა, გულში იხვევს და შესაბამისი ვითარების გამოჩენისთანავე ხურდას აბრუნებს. ობამას მიმართ გაღიზიანება ნეთანიაჰუს ჯერ არ გამოუთქვამს, შეიძლება არც გამოთქვას, მაგრამ რომნისთან გულახდილი შეხვედრა ბევრის მანიშნებელია.

რომნის განცხადება, რომ ისრაელს სრული უფლება აქვს, დაიცვას თავი და იბრძოლოს გამოწვევების წინააღმდეგ, სასიამოვნო მოსასმენი იყო ნეთანიაჰუსთვის, ისე, როგორც იერუსალიმის მხოლოდ ისრაელის დედაქალაქად მოხსენიება ან ის, რომ ყველამ უნდა იშრომოს ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის წინააღმდეგ და თუ ამ ბრძოლაში დიპლომატია და სანქციები შედეგს არ მოიტანს, საჭირო იქნება ირანის ბირთვული კვლევის ობიექტების განადგურება, ამ საქმეში აშშ-ის პრეზიდენტი რომნი მხარს ისრაელს დაუჭერს.

პრეზიდენტობის კანდიდატის გამონათქვამში თითქოს ახალი ან განსხვავებული არაფერია. ობამას ადმინისტრაციაც იგივეს ამბობს - თუ მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო, მაშინ ძალისმიერი გადაწყვეტილება არ დააყოვნებს, თუმცა ამ ნათქვამში მტკიცე გადაწყვეტილებას, რომ ეს ასე იქნება, თელ-ავივი ვერ ხედავს.

სხვაგვარია ობამას ადმინისტრაციის მიდგომა იერუსალიმისა და პალესტინის მიმართ. თელ-ავივი ამ საკითხებში ამჩნევს ობამას პალესტინისკენ გადახრას..

ასეა თუ ისე, ბრძოლა თეთრი სახლისთვის სულ უფრო იძაბება. მეტოქეებს შორის სხვაობა უმნიშვნელოა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ფინიშისკენ თითო ხმას, მით უმეტეს ებრაულის, დიდი მნიშვნელობა ექნება. ებრაელებს რომნის დაპირებაც — გამარჯვების შემთხვევაში პირველ სახელმწიფო ვიზიტს ისრაელში განახორციელებს, გულში ჩარჩათ.

დიპლომატიასა და სახელმწიფოთა ურთიერთობაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ გამარჯვებული პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ პირველ განცხადებას ან პირველ უცხოურ ვიზიტს.

რომნის მიერ ნათქვამი სიტყვები — პირველად ისრაელში ჩასვლასთან დაკავშირებით, ამერიკელ ებრაელთა ლობის მიმართ გაკეთებული მესიჯიც იყო — ამირჩიეთ და მეც პატივს დაგდებთ — ისრაელს ვეწვევიო. ამერიკული ებრაული ლობი ამ თხოვნის გარეშეც არ დააყოვნებს რომნის მხარდაჭერას, ვინაიდან მას ერთობ რთული ურთიერთობა აქვს ახლანდელ ადმინისტრაციასთან. თუ საით გადაწონის ებრაული ხმები და ებრაული ლობის გავლენა, ამას წლევანდელი ნოემბერი დაგვანახვებს.

რაც შეეხება მედლის მეორე მხარეს, ანუ რომნის ნათქვამს პალესტინისა და ირანის მიმართ, მასაც საკმაო პოლიტიკური დატვირთვა აქვს, ვინაიდან ამერიკელ ამომრჩევლებზე, განსაკუთრებით მუსლიმანებზე, რომელთა ხმები არაფრით ჩამოუვარდება ებრაელებისას, რომნის ნათქვამმა ნეგატიურად იმოქმედა. პალესტინის ავტონომიის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა რომნის ნათქვამს უმალ მოაყოლა კრიტიკული გამონათქვამი, უფრო გმობის სახით.

არც ირანი დარჩენილა ვალში, თუმცა ის რახანია შეეგუა ამერიკელ პოლიტიკოსთა რეაქციულ განცხადებებს. ირანისთვის გამოცანას არ წარმოადგენს, დემოკრატის ან რესპუბლიკელის გამარჯვების შემთხვევაში, რა განვითარებას მიიღებს თეთრი სახლის პოლიტიკა. ირანი ყელამდეა სავსე დემოკრატიული ადმინისტრაციის „სასიკეთო" მოქმედებით, განსაკუთრებით მკაცრი ანტიირანული სანქციების თვალსაზრისით. თეთრი სახლის მხრიდან მეტი სიმკაცრე — ბირთვულ ობიექტებზე იერიშის მიტანა იქნება. ირანი ამისათვისაც მზად არის, თუმცა იმედოვნებს, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს.

ირანის პოზიცია „ექვსეულთან" მიმდინარე მოლაპარაკებებზე არის ისეთი, როგორც ყოველთვის — ირანს

# რესპუბლიკელი რომნის ვოიაჟები



აქვს უფლება, აწარმოოს ბირთვული სამშვიდობო კვლევები და გააგრძელოს ურანის გამდიდრება, მიუხედავად იმისა, დააწესებს დასავლეთი ახალ სანქციებს მის წინააღმდეგ, თუ არა.

სტამბოლის ბოლო შეხვედრის დროს ირანის მხარემ გამოთქვა მოსაზრება, რომ საკითხის მოსაგვარებლად საჭიროა უპირველესად სანქციების მოხსნა. თუ სანქციები არ მოიხსნება, გაგრძელდება ურანის 20%-ზე ზევით გამდიდრების პროცესი.

„ექვსეულის" წინადადება საწინააღმდეგოა — ჯერ გამდიდრების შეწყვეტა და შემდეგ სანქციებზე მოლაპარაკება. ერთი სიტყვით — ილფის და პეტროვისა არ იყოს — „დილას ფული, საღამოს სკამები".

გაუთავებელი პოლიტიკური ვაჭრობა აშკარა მაჩვენებელია იმისა, თუ რაოდენ რთულ პრობლემასთან გვაქვს საქმე. დახუჭავს თვალს დასავლეთი ირანის პროგრესირებულ ბირთვულ კვლევებზე? — მსოფლიოს ბირთვული სახელმწიფოების კლუბს ერთი ახალი წევრი შეემატება, რასაც შეიძლება მოჰყვეს კლუბის სხვა წევრებით გამდიდრებაც.

ბირთვული პროგრამის ლიკვიდაციის თვალსაზრისით ირანზე თავდასხმა კი აბსურდია. მას მხოლოდ დროებით შეუძლია ირანის ბირთვული პროგრამის შეჩერება. ისრაელის პრეზიდენტის შიმონ პერესის არ იყოს, ბირთვული ობიექტების განადგურება შეიძლება, მაგრამ ირანელ მეცნიერთა თავებისა — შეუძლებელი.

რა იქნება, თუ ირანი დაამზადებს ბირთვულ ბომბს?

ირანის ხელისუფლება გაცილებით სტაბილურად და მტკიცედ გამოიყურება, ვიდრე პაკისტანის, ვისაც აქვს ასეთი. ბოლო დროს ამ მოსაზრებას იზიარებენ ამერიკელებიც, მათ შორის ისეთი ცნობილი პოლიტოლოგი კენეტ ნილ უოლტსიც — მრავალი წლის განმავლობაში ბერკლისა და კოლუმბიის უნივერსიტეტების პროფესორი.

ამას წინათ ამერიკულმა ჟურნალმა „Foreign Affairs"-მა გამოაქვეყნა უოლტსის სტატია სათაურით — „ირანს ბომბი უნდა ჰქონდეს", რომელმაც ერთობ ნეგატიური რეაქცია გამოიწვია ამერიკულ პოლიტიკურ წრეებში.

პროფესორი ამტკიცებს, რომ ირანის მიერ ბირთვული ბომბის დამზადება არ გამოიწვევს გამალებულ ბირთვულ შეიარაღებას. **„შეხედეთ, ბირთვული ეპოქა 70 წლის არის და არც არავითარი მანიშნებელი არ არის იმისა, რომ შეიარაღების ეს სახეობა ჭირივით ან შიდსივით ვრცელდება. ტერმინი „proliferation" — „გავრცელება" ნიშნავს სწრაფ, უკონტროლო პროცესს, ჩვენ კი რა გვაქვს? ისრაელმა შექმნა ბირთვული ბომბი სამოციან წლებში, მაგრამ რეგიონში მის მაგალითს არავინ წაჰყვა. თუ ეს მაშინ არ მომხდარა, რატომ ვშიშობთ, რომ ირანის მაგალითს მოჰყვება ასეთი? მე ყოველთვის ვთვლიდი, რომ რეგიონისთვის ბირთვული ისრაელი უფრო საშიშია, ვიდრე ბირთვული ირანი. ირანელები არც თვითმკვლელები და არც შუასაუკუნეების ბარბაროსები არიან, რომ ვინმეს წინააღმდეგ, თუნდაც ისრაელის წინააღმდეგ გამოიყენონ ბირთვული იარაღი. მიუხედავად იმისა, რომ ირანელებს ახასიათებთ გამომწვევი რიტორიკა, მათ არ სურთ საკუთარი თავის განადგურება. ირანს შეუძლია მკაცრი განცხადებების გაკეთება აშშ-ის და ისრაელის მიმართ, მაგრამ მათი მოქმედების ლოგიკა — საკუთარი ქვეყნის, ხალხის და რეჟიმის გადარჩენაა.**

**ირანმა არ გადაკეტა ორმუზის სრუტე. ირანი საკუთარ თავდაცვაზე ფიქრობს. თქვენ გგონიათ, რომ ამის საფუძველი ირანს არ აქვს? გავიხსენოთ 1981 წელი, როდესაც ისრაელმა დაბომბა ერაყის ბირთვული ობიექტები ან 2007 წელი, როდესაც მან იერიში მიიტანა სირიის ანალოგიურ ობიექტებზე.**

**მაო ძედუნი ტოვებდა სახიფათო ლიდერის შთაბეჭდილებას, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩინეთმა 1964 წელს დაამზადა ატომური ბომბი, ქვეყანამ დაიწყო თავშეკავებული მოქმედება. ერთმანეთთან დაპირისპირებულმა ინდოეთმა და პაკისტანმა ბირთვული იარაღის შექმნისთანავე დაუკლეს გამაღიზიანებელ განცხადებებს.**

**ბირთვული კვლევები ძვირი საქმეა. სრული შესაძლებელია, რომ ბომბის მიღების შემდეგ ირანმა მასზე მკაცრი კონტროლი დააწესოს და ამით გამორიცხოს ამ იარაღის სხვის ხელში მოხვედრა",** — აცხადებს მეცნიერი.

მეცნიერის აზრით, უნდა შეწყდეს ყოველგვარი სანქციები ირანის წინააღმდეგ, ვინაიდან ირანი მაინც გააგრძელებს ურანის გამდიდრებას. სამხედრო გზა მიუღებელია. ირანმა უნდა აღადგინოს ნავთობის ექსპორტი ევროპის ქვეყნებში, სპარსეთის ყურიდან გაყვანილ უნდა იქნას სამხედრო გემები. ირანთან უნდა დაიწყოს დიპლომატიური მოლაპარაკება.

მეცნიერი არ გამორიცხავს, რომ ისრაელს უმტყუნოს ნერვებმა და დაჰკრას ირანს. შესაძლოა, ეს აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოხდეს. და ეს იქნება გაცილებით უარესი, ვიდრე ინდიელი ტომის მაიას წინასწარმეტყველება, თვლის მეცნიერი.

პროფესორი უოლტსის მოსაზრებას ეხმიანება რუსი მეცნიერი გიორგი მირსკი, რომელიც აღნიშნავს, რომ **„ახალ-ახალი სანქციები იმ ზომამდე მიიყვანს ირანს, რომ ის ჩათვლის თავს კუთხეში მოქცეულად, რაც კიდევ უფრო გაზრდის მის ინტერესს ბირთვული იარაღისადმი, თავდაცვის საშუალების ერთადერთი შესაძლებლობისადმი". რუსი მეცნიერის აზრით, „ისრაელის ბირთვულმა მონოპოლიამ შექმნა ახლო აღმოსავლეთის არასტაბილურობა. დღევანდელი კრიზისი გამოწვეულია არა ირანის ბირთვული ამბიციებით, არამედ ისრაელის ბირთვული არსენალით".**

დასავლელი მეცნიერები იმასაც აღნიშნავენ, რომ ირანს არ სურს ბირთვული იარაღის დამზადება, მაგრამ მას უნდა ბირთვულ იარაღამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯი ჰქონდეს დარჩენილი. მსგავსი მოსაზრება მიუღებელია ისრაელისთვის, ვინაიდან მუდმივ შიშში ყოფნა და იმაზე ფიქრი, გადალახა თუ არა ირანმა ურანის გამდიდრების 20%-იანი ბარიერი და მიაღწია თუ არა 90%-იან ზღვარს, რაც აუცილებელია ბომბის დამზადებისთვის — ძნელი საქმეა. ისრაელს შეიძლება ნერვებმა უმტყუნოს, რაც ომის დასაწყისი იქნება. ამ ომში აშშ-ც იქნება ჩათრეული. ასე და ამრიგად მივიღებთ ცივილიზაციათა ომს, რომელიც ბევრ ქვეყანას, მათ შორის საქართველოს მძიმე პრობლემებს შეუქმნის. უნდა ვიმედოვნოთ, რომ მსგავსი რამ არ მოხდება, თუმცა, არც ამისგან ვართ დაზღვეული.

დასასრულს ურიგო არ იქნებოდა გაგვეხსენებინა, ვის რა რაოდენობის ბირთვული იარაღი აქვს: აშშ — 1800; რუსეთი — 1537; საფრანგეთი — 300; ჩინეთი — 240; დიდი ბრიტანეთი — 225; ინდოეთი — 80-100; პაკისტანი და ჩრდილოეთ კორეა — 90-110; ისრაელი — 80.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**

**პოლიტოლოგი.**

ინფორმაცია

## ხელისუფლებამ ქვეყანა ამერიკისა და რუსეთის კოლონიად აქცია

**„ლეიბორისტული პარტიის" განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყანა ორი გეოპოლიტიკური ვეშაპის — ამერიკისა და რუსეთის სათარეშო კოლონიურ არეალად აქცია.**

**ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ განაცხადა და აღნიშნა, რომ ეს იმპერიები არა მარტო საქართველოს სისხლის ხარჯზე იკმაყოფილებენ სტრატეგიულ ინტერესებს, არამედ ახერხებენ ქვეყნის დასაშლელად გარიგების მიღწევასაც.**

**— ამის მაგალითია რუსეთის ფედერაციაში ამერიკის საელჩოსა და საკონსულოს მიერ ვიზების პრაქტიკულად თავისუფალი გაცემა აფხაზეთისა თუ ცხინვალის რეგიონის მოსახლეობაზე. საფუძვლად კი, თურმე სახელმწიფო დეპარტამენტის ინსტრუქციაა მითითებული. ჩვენ ვგმობთ ამგვარ პრეცედენტს, რომელიც ფაქტიურად აკანონებს აფხაზეთისა და ცხინვალის საქართველოდან გამოყოფას, ამჯერად უკვე სააკაშვილის მეგობარი ვაშინგტონის მხრიდანაც და პროტესტს ვუცხადებთ შეერთებული შტატების მთავრობას, — აღნიშნა გუგავამ.**

ინტერპრესი

**— როდესაც გავიგე, ვანო მერაბიშვილი პრემიერ-მინისტრი გახდა, ვიფიქრე, რომ ეს მიხეილ სააკაშვილის სწორი გადაწყვეტილება იყო. ეს ადრე უნდა ექნა. მე ორჯერ მქონდა ურთიერთობა ვანო მერაბიშვილთან. ის მეტად ანალიტიკური გონების და კონკრეტული გადაწყვეტილებების ადამიანია. აქვს შესანიშნავი მიდგომა საჭირო მომენტში: საქართველოს სახელმწიფო ინფრასტრუქტურა მხოლოდ მოიგებს ამით. ვანო მერაბიშვილს აქვს მტკიცე, მკაცრი ხასიათი. ის ხომ თურქეთის მოსაზღვრე მთის რეგიონში დაიბადა. იქ მკაცრი კლიმატია. ბევრი ძალისხმევაა საჭირო იმისთვის, რომ გაუძლო, მიიღო განათლება, წარმართო საკუთარი ბედი. სულ სხვა საქმეა, როდესაც გვერდით არის ზღვა, მანდარინი, გოგონები... რაც სულ სხვა ხასიათს ქმნის.**

**ასე რომ მე, როგორც ეკონომიკის პროფესორი, ველოდები ახალ პოზიტიურ ცვლილებებს საქართველოს ეკონომიკაში. მაგალითად, მაქსიმალურად უნდა გაგრძელდეს ტურისტული სეზონის ხანგრძლივობა ქვეყანაში. ის ქვეყნები ხომ, სადაც ტურიზმი ეკონომიკის ღერძული ქედია, აღწევენ ამ სექტორის მიმზიდველობას უცხოელი სტუმრებისთვის როგორც მინიმუმი 9,5 თვეს წელიწადში. საქართველოში კი ეს მაჩვენებელი სამნახევარ-ოთხ თვეს არ აჭარბებს.**

**ეს სიტყვები ეკუთვნის ალექსანდრე პოტიომკინს, გერმანიის მოქალაქეს, ერთ-ერთ ცნობილ თანამედროვე რომანისტს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს და საერთაშორისო მასშტაბის დიდი ბიზნესპროექტების ორგანიზატორს, მეცენატს. ის წარმოშობით ქართველია, დაიბადა და ცხოვრობდა სოხუმში, მისი დედა გერმანელი სამხედრო ტყვე გახლდათ. ალექსანდრემ დაამთავრა თბილისისა და ბონის უნივერსიტეტები. ის დღესაც მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან.**

— 1988 წელს, იხსენებს ალექსანდრ პოტიომკინი, მომმართა გერმანიაში მაშინდელმა სსრ კავშირის ელჩმა იული კვიცინსკიმ: „ალექსანდრ, დაეხმარე შენს თანამემამულეებს საქართველოში. იქ კივის ნერგები სჭირდებათ. ეს უნდა იყოს მხოლოდ დახმარება და არა ბიზნესი...“ მე დავთანხმდი.

რატომ მომმართა კვიცინსკიმ სწორედ მე? მაშინ გერმანიაში ისეთები, როგორიც მე ვარ, ერთეულები იყვნენ. ებრაელები გერმანიაში ჩამოდიოდნენ საბჭოთა ვიზებით. მე კი, როგორც გერმანელი სამხედრო ტყვის შვილი, ჩამოვედი გერმანიის ვიზით, შევინარჩუნე ძველი მოქალაქეობა. ვიყავი აღრიცხვაზე საელჩოში ამ მიზეზით, ყველამ იცის, რომ მე წარმოშობით საქართველოდან ვარ. მით უმეტეს, რომ მაშინ ვახორციელებდი პირველ ჩემს დიდ პროექტს — სსრ კავშირში გამოცემა დაიწყო მოდების ჟურნალმა „ბურდამ“. მე მის რეალიზაციას ვახორციელებდი, რაისა მაქსიმეს ასულ გორბაჩოვასთან ერთობლივად.

უნდა გითხრათ, რომ გერმანია ევროპაში ერთ-ერთი ლიდერია ნერგების, კერძოდ, ხილის მცენარეების წარმოების თვალსაზრისით. მე მოველაპარაკე ფერმერებს ქვეყნის სამხრეთში. ასე რომ ზარებს საქართველოდან ველოდი. დამირეკა ოთარ ჩერქეზიამ. მანაც გამაფრთხილა, რომ საკითხი შეეხება სპონსორულ დახმარებას. მე მზად ვიყავი, გამეწია დახმარება, მესმოდა, რომ შემდეგ ეს შეიძლებოდა გამხდარიყო ბიზნესპროექტების საფუძველი. გადავწყვიტე საქართველოსთვის შემესყიდა კივის 30 ათასი ნერგი, თითოეული 15 სანტიმეტრისა. ნერგებს ორი უზარმაზარი ფურგონი დასჭირდა, რომლებიც მივიტანეთ საზღვრამდე. ბრესტში კი ეს დახმარება მიიღეს ქართველმა წარმომადგენლებმა. მე ეს პროექტი სადღაც 155-158 ათასი მარკა დამიჯდა. მაგრამ მე ტვირთი გავაფორმე სიმბოლურად. ის შევაფასე 1 მარკად. ასე რომ, მე ქართული კივის ერთგვარი ნათლია ვარ...

**— ეს კავშირურთიერთობანი განვითარდა კულტურის ხაზითაც...**

— გერმანიაში 2010 წელს ბეთჰოვენის 200 წლის იუბილეს აღნიშნავდნენ, ეს იყო საერთაშორისო ქღერადობის მოვლენა. მიუნჰენში, გერმანიის ყველაზე საუკეთესო საკონცერტო დარბაზში, გაიმართა საიუბილეო ღონისძიებათა დასკვნითი საღამო. კონცერტის სამი განყოფილებიდან ერთი ბეთჰოვენის ნაწარმოებებს მიეძღვნა, ორი კი — გია ყანჩელის ნაწარმოებებს.

ეს იყო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა. დამეთანხმეთ, რომ გერმანელები მუსიკის კანონმდებლები არიან მსოფლიოში, კლასიკური მუსიკისა. ის, რომ კონცერტზე, რომელიც მიძღვნილი იყო ბეთჰოვენისადმი, წარმოდგენისათვის მათ შეარჩიეს სწორედ ყანჩელის მუსიკა და არა რომელიმე სხვა დღეს ცნობილი კომპოზიტორისა მსოფლიოში, ბევრ რამეზე მეტყველებს.

მე დიდი ხანია, ვიცნობ გია ყანჩელს, ჩვენ მეგობრული ურთიერთობები გვაქვს. მან მიმიწვია ამ კონცერტზე. მე იმას შევეკითხე, ვინმე საქართველოდან დაესწრება კონცერტს? მივიღე უარყოფითი პასუხი. ჩემთვის გადავწყვიტე, რომ ეს უსამართლობა იქნებოდა. გერმანელებიც ვერ გაიგებენ, თუ დარბაზში არ იქნებოდნენ ქართული სახეები, არ დაუჭერენ მხარს პლაკატებით გია ყანჩელს თანამემამულენი, თუ აქ არ გაიგონებენ ქართულ საუბარს.

ეს ჩემთვის მეტად მტკივნეული იქნებოდა. თავად გია ყანჩელისთვისაც, ვფიქრობ, გულსატკენი იქნებოდა, თუ დარბაზში არ იქნებოდნენ საქართველოს პოლიტიკური და კულტურული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ამიტომ ვიკისრე გარკვეული ვალდებულებანი. დავრეკე თბილისში, პარლამენტში, კულტურის სამინისტროში და შევთავაზე ჩამოეყალიბებინათ დელეგაცია ამ კონცერტზე დასასწრებად მიუნჰენში. ყველა საორგანიზაციო ხარჯი — ტრანსპორტირება, სასტუმრო და ასე შემდეგ საკუთარ თავზე ვიკისრე. მიზანი ერთი იყო — რომ აქ გერმანიაში ცხადი ყოფილიყო

## ალექსანდრე პოტიომკინი:

# „მე სამი კულტურის ადამიანი ვარ...“



— გიას ჰყვანან ახლობლები, მეგობრები, აქვს სამშობლო, მშობლიური ენა... მაგრამ ჩემს ოფიციალურ ვიზავებს საქართველოში რატომღაც არ გამოეხმაურნენ. მაშინ გია ყანჩელის ქალიშვილის მეშვეობით მე გამოვარკვიე, თუ ვინ იყო მისი ყველაზე ახლობელი მეგობარი საქართველოში, მოგროვდა 15 კაცი. მე მოვაწყვე მათი მიუნჰენში ჩამოსვლის ორგანიზაცია და შესანიშნავ კონცერტზე დასწრება.

**— ცნობილია, რომ თქვენ ამჟამად მუშაობთ საბორნე კონტეინერული გადასასვლელის როროს ორგანიზაციაზე მარშრუტით ფოთი — ნოვოროსიისკი...**

— საქმე ის არის, რომ მე მაქვს ორი საბორნე სამგზავრო ხომალდი ბალტიკაში. ისინი ასრულებენ კრუიზულ რეისებს, სარგებლობენ პოპულარობით. მე თავად შავი ზღვისპირელი კაცი ვარ. ამიტომ დიდი ხანია, მინდოდა მომეწყო ამგვარი კრუიზული ბორნები შავ ზღვაზე, რათა ისინი აუცილებლად შესულიყვნენ ბათუმში. მაგრამ ამას მთელი რიგი ვითარებები უშლიან ხელს. მე დამაგულისყურა ნავსადგურებში პარკინგის ფასმა: გემსაბმელების მიბმისა, მომსახურებისა და ა. შ. ოდესაში ამბობენ: 21 ათასი დოლარიო, იალტაში — 23 ათასი, სოჭში — 27 ათას დოლარზე ოდნავ მეტი. ბათუმში მე 65 ათასი დოლარი დამისახელეს. აჭარის მთავრობაში წარუმატებლად ცდილობდნენ გამოერკვიათ, თუ რატომ არის ასეთი მაღალი შეფასებანი. შემდეგ დავუკავშირდი ნავსადგურის ხელმძღვანელობას. ნავსადგურის უფროსი დამეთანხმა, რომ „ცოტა ბევრია“, დამპირდა, რომ გადაიანგარიშებდა... ჯერჯერობით პასუხი არ მიმიღია.

თუმცა მოვისმინე, რომ ამერიკელებს, თითქოს, სურთ იყიდონ ბათუმის ნავსადგური. ეს სიტუაციას ცვლის. თავიანთი ხომალდებისთვის მათ ექნებათ საკუთარი, უფრო იაფი შეფასებანი, სხვებისთვის — უფრო ძვირი. მაგრამ მაშინ შეფასებებს თავიანთი ხომალდებისთვისაც ხომ გაზრდიან აუზის სხვა ნავსადგურები?! ამიტომ უნდა ვეძებოთ კომპრომისები, მოვილაპარაკოთ.

მეორე პრობლემა — სოჭის ნავსადგური დაკეტილია. იქ ყველაფერი გადაკეთებას ექვემდებარება. მიმდინარეობს ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადება.

აი, ნოვოროსიისკის ნავსადგურში კი რეაბილიტაცია დამთავრდა. კონტეინერების გადასვლა მარშრუტით ფოთი-ნოვოროსიისკი მეტად პერსპექტიულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, აღმოსავლეთი თურქეთის, ერაყის, ირანის, ცენტრალური აზიის ქვეყნებისა და ა. შ. კუთვნილი ტვირთების ტრანსპორტირების თვალსაზრისით.

მე დიდი ხანია, ვიცნობ ნოვოროსიისკის ნავსადგურის გენერალურ დირექტორს სერგეი შიშკარიოვს. მან და მე შევარჩიეთ რამდენიმე რო-რო. ეტყობა, ზაფხულის ბოლოსთვის მიღებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილება.

შავი ზღვა — ეს უზარმაზარი აუზია. არ აქვს მნიშვნელობა, შენ იქ დააყენებ ათ ხომალდს თუ თხუთმეტს. მაინც არ გვეყოფა. შავი ზღვა 300 მილიონ კაცს აერთიანებს. აღმოსავლეთი თურქეთი — ეს 40 მილიონია, მათთვის ახლოა და უფრო ხელსაყრელი ოპერირება საქართველოს მეშვეობით. ერაყი — 20 მილიონი, ერაყიდან ბათუმამდე 600 კილომეტრია, მე ვიმოგზაურე აქ მანქანით. საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი — 15-17 მილიონია, თურქმენეთი — 15 მილიონი, უზბეკეთი — 30, სამხრეთი ყაზახეთი — 5-6 მილიონი. ყველა მათგანი დახშულია, ეძებენ გასავალს ზღვაზე. შემდეგ მოდის უკრაინა, რუსეთი, ბულგარეთი, რუმინეთი. ასე რომ, რო-როს ბაზარი — საკმაოდ ტევადია, რომელიც უნდა აიღო — ვაგონები, ფურგონები, კონტეინერები — მოცულობანი საკმაოდ დიდია. აზერბაიჯანი, მაგალითად, განიცდის ამჟამად სერიოზულ სიძნელეებს, რომლებიც უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული. თავისი ტვირთების ტრანსპორტირებაში ჩეჩნეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, დაღესტნის გავლით. ამიტომ საზღვაო გზა — ყველაზე ხელსაყრელი და პერსპექტიულია. ჯერ ბორანი მინდა დავაყენო, რომელსაც შეეძლება გადაიტანოს მინიმუმ ასი ფურგონი.

ფაქტია, რომ საზღვაო გადაზიდვები ამ რეგიონში უფრო პერსპექტიულია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ გზა აფხაზეთის გავლით ჯერჯერობით დაკეტილია. ამ დროს უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს საზღვაო რეჟიმი უფრო ლიბერალურია, რასაც ვერ იტყვი უკრაინისა და რუსეთის საზღვრებზე.

**— ამას ხელს არ შეუშლის რუსეთ-საქართველოს ამჟამინდელი ურთიერთობანი?**

— მე ვაწარმოებ ბიზნესს. ამიტომ პოლიტიკის შესახებ არ ვილაპარაკებ. ბიზნესი უნდა იყოს პოლიტიკის გარეშე. თუმცა, შევნიშნავ, რომ რეგიონში ქართველები და რუსები ყველაზე ახლობელი ადამიანები არიან რწმენით, კულტურით, მათ ბევრი რამ ისტორიული აერთიანებს. მე სამი კულტურის ადამიანი ვარ: გერმანიის, რუსეთის, საქართველოს. მართალია, ქართული ენა არ ვიცი, მაგრამ საქართველოს ისტორიას, კულტურას, ტრადიციებს კარგად ვიცნობ.

საქართველოში ნათესავები არა მყავანან. მაგრამ მეუღლის ხაზით ზესტაფონის რაიონის სოფელ კიმოთის მოსახლეობის ნახევარი ჩვენი ნათესავები არიან. ჩემი სიძე რევაზ ჯანიაშვილი უნიკალური კაცია. მას ორი უმაღლესი ჯილდო აქვს როგორც რუსეთის, ისე საქართველოსი. როდესაც არმიაში სამსახური გაიარა, ის საცხოვრებლად დარჩა მოსკოვში, აქ შეირთო რუსი ქალიშვილი. რევაზ ჯანიაშვილი მრავალი წლის განმავლობაში სათავეში ედგა რუსეთში ქართული ხალხური ცეკვების ცნობილ ანსამბლს. ჩემი მეუღლე მანანა ამ კოლექტივის სოლისტი იყო. ამჟამად რევაზ ჯანიაშვილი მეუღლესთან ერთად ზესტაფონში ცხოვრობს. დაბრუნდნენ საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ.

ასე რომ მჯერა, ეს ბიზნესი განვითარდება.

**— ვინმე თქვენი ახლობლობიდან მუშაობს ამჟამად საქართველოში?**

— ჩემმა ერთ-ერთმა ვაჟიშვილმა დაამთავრა ბოსტონის უნივერსიტეტი, პროფესიით ეკონომისტია. მე მას შევთავაზე სამუშაოდ წასულიყო საქართველოში, ენახა ადგილზე თუ როგორ რეფორმირებას და მოდერნიზაციას განიცდის ქვეყანა, ვუთხარი, რომ მას ექნება შესაძლებლობა, შეადაროს ერთმანეთს ყოველივე ეს. მას შეუძლია დაინახოს საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილი კომუნისტური იდეოლოგიის მემკვიდრეები, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი — შეხედოს ახალგაზრდა რეფორმატორებს... ეს ბოსტონის უნივერსიტეტზე უფრო მაგარი იქნება-მეთქი, ვუთხარი მას.

ის ჩამოვიდა საქართველოში. ჩვენ ცაისში ავაშენეთ ეთერზეთების წარმოების ფაბრიკა. დასავლეთ საქართველოში გვაქვს ეთერზეთების პლანტაციები, ხაშურის რაიონშიც. ამჟამად ფაბრიკას განზრახული აქვს ევროპაში გაგზავნოს ეთერზეთები 250 ათასი ევროს ღირებულებით. დასავლეთ საქართველოში ჩვენ შევქმენით სამხრეთ კავკასიაში ნარგავების წარმოების ყველაზე დიდი ფირმა, მისი რესურსები საკმაოდ მნიშვნელოვანია: პალმის 300 ათასი ნერგი, ევკალიპტების 500-600 ათასი ნერგი და ა. შ.

**— ყველა იმის შესახებ საუბრობს, რომ თქვენ მზად ხართ მიიღოთ მონაწილეობა პროექტში სახელწოდებით „ქალაქი ლაზიკა“?**

— მე შევისწავლე იგი. გთავაზობთ ჩემს პროგრამას მის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს იმ ტერიტორიის ამოშრობას, ვთქვათ 30 პროცენტით, რომელიც დაჭაობებულია. მშენებლებისა და მომავალ მცხოვრებთა ადგილზე ელოდებიან — მე სპეციალურად ჩავედი იქ — სამ ძირითად პრობლემას: უნდა განახორციელონ ნაპირსამაგრი სამუშაოები, დააყენონ ტალღასაჭრელები. შემდეგია: ზღვა ამ რაიონში დიდ სივრცეზე არ არის ღრმა, თითქმის მუხლამდეა. საჭიროა მისი გაღრმავება, ქვიშის ამოღება, რაც, სხვათა შორის, შესანიშნავია, ნაპირიც მეტად მიმზიდველია პლაჟის შესაქმნელად. და ბოლოს, დაშრობა. ჭაობების დაშრობაში ამჟამად ჩემპიონები არიან ჰოლანდიელები და ბელარუსები. თუმცა, საბჭოთა პერიოდში პირველობა სწორედ ქართველ სპეციალისტებს ეკავათ. ცნობილია, რომ ევკალიპტის თესლების უკანასკნელი გზავნილები საქართველომ ავსტრალიიდან მიიღო 1927 წელს. 20-50-იან წლებში ქვეყანაში მიმდინარეობდა მასშტაბური დასაშროები სამუშაოები, მათ შორის აფხაზეთში, სოხუმში ხომ 20-იან წლებამდე მეტად ძნელი იყო ცხოვრება — იყო მალარია... ევკალიპტმა, რომელიც დღეში 500 ლიტრამდე წყალს ნთქავს და შემდეგ უშვებს ატმოსფეროში, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თავის დროზე კოლხიდის ამოშრობაში. მე ვამბობდი, რომ ჩემს ფირმას დასავლეთ საქართველოში აქვს ევკალიპტის ნარგავები, თითქმის 500 ათასი ცალი, მათ უკვე მიაღწიეს ერთნახევარ-ორ მეტრ სიმაღლეს, საქართველოში გადაიტანეს 2-3 ზამთარი, მოახდინეს ადგილობრივ პირობებთან მაქსიმალური ადაპტაცია. ჩვენ მზად ვართ, გავყიდოთ ისინი 5 დოლარად. მსოფლიოში მათი ფასი 15-18 დოლარია.

**— თქვენი ინტერესები ვრცელდება მეცნიერებაზეც...**

— ჩემი ლაბორატორიები სხვადასხვა საინოვაციო პროექტებზე მუშაობენ. კერძოდ, ჩვენ პირველად მსოფლიოში შევქმენით ხელსაწყო, რომელიც ნანომეტრულ დიაპაზონზე მუშაობს. შეგახსენებთ, რომ ერთ მეტრში მილიონი ნანომეტრია. თანამედროვე მსოფლიო წარმოდგენილია მეტრულ დიაპაზონზე. ნანომეტრული დიაპაზონი კი — ეს უკვე სხვა ცივილიზაციაა. ტელესკოპები წარსულს ბარდება. ნანომეტრი საშუალებას მოგვცემს, დავინახოთ ის, რაც დღეს მიუღწეველია. ხელსაწყო ჯერ არ გამოგვიტანია ბაზარზე. სერტიფიკატის მისაღებად ის ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების და ევროპის მთელი რიგი ქვეყნების მეტროლოგიურ სამსახურებში გადის ატესტაციას. მისი საორიენტაციო ღირებულება 100 ათასი დოლარია. ერთ-ერთ პირველ საბაზრო ნიმუშს, ვალდებულებას ვკისრულობ, ვაჩუქებ საქართველოს.

**— თქვენი მხატვრული ნაწარმოებები მსოფლიოს მრავალ ენაზეა გამოცემული. ქართულ ენაზე ისინი არ თარგმნილა. ამჟამად რუსულ ენაზე გამოსაცემად მზადდება ახალი რომანი „რუსი პაციენტი“. მე ის წავიკითხე — გასაოცრად ძლიერი ნაწარმოებია, მასში მოცემულია თანამედროვე რუსული საზოგადოების ჭრილი. ვფიქრობ, რომ ქართველი მკითხველი დიდი ინტერესებით გაეცნობა მას...**

— მე წინააღმდეგი არა ვარ, რომ ის თარგმნონ ქართულ ენაზე. საქართველოში ბევრი მეგობარი მყავს. მათთვის საინტერესო იქნება გაეცნონ ჩემს რომანს მშობლიურ ენაზე. იმედი მაქვს, რომ მთლიანად ქართველი მკითხველიც.

**გაბრიელ ნამთალაშვილი**

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

2012 წლის 14 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ". აუქციონში გამოცხადებული ობიექტებიდან №2 და №4 სალიცენზიო ობიექტებზე სააგენტოში არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განცხადება მონაწილეობის მიღების თაობაზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ" დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ ობიექტებზე აუქციონი ითვლება ავტომატურად გამოცხადებულად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვაქვეყნებთ №2 და №4 სალიცენზიო ობიექტზე აუქციონის გამოცხადების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი პირობებითა და სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნებით:

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 426 000 მ² | 57 121 | 11 424 |
| 4 | [illegible] | [illegible] | P | [illegible] | [illegible] მ² | 21 199 | 4 240 |
| [illegible] | | | [illegible] | | | | |
| [illegible] | | | [illegible] | | | | |
| [illegible] | | | [illegible] | | | | |
| [illegible] | | | [illegible] | | | | |
| [illegible] | | | [illegible] | | | | |
| [illegible] | | | [illegible] | | | | |
| [illegible] | | | | | | | |
| [illegible] | | | [illegible] | | | | |

№151. ხუთშაბათი, 9 აგვისტო, 2012 წელი.

**თითქმის ცხრა წელია, რაც პრეზიდენტ სააკაშვილის მთავრობა ყოველგვარი სირთულეების გარეშე განაგებს საქართველოს ბედს.** ამჟამად კი ვარდების რევოლუციის ავტორები სერიოზული შიდაპოლიტიკური გამოწვევის წინაშე დგანან. მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა მოახერხა დაქსაქსული ოპოზიციის გაერთიანება კოალიცია „ქართულ ოცნებაში" და საკუთარი მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების გამოყენებით შექმნა ძლიერი პოლიტიკური მოძრაობა, რომელმაც მოიცვა ქვეყნის მთელი ტერიტორია. ასევე ქვეყნის ყველა რეგიონში მოღვაწეობენ მის მიერ დაფინანსებული მედიასაშუალებები. ხელისუფლება ადანაშაულებს ივანიშვილს ამომრჩევლის მოსყიდვის მცდელობაში. სახელმწიფო სტრუქტურები ღებულობენ შესაბამის ზომებს მის და მისი მომხრეების მიმართ. ეს დაპირისპირება გასცდა ქვეყნის საზღვრებს და მას ადგილი აქვს უკვე უცხოეთშიც.

## ფარული მოსმენის ოპერაცია შვეიცარიაში

**მოქმედება ვითარდება ციურიხში, სადაც 11 აპრილს ჩავიდა ოპოზიციონერი პოლიტიკოსი და ივანიშვილის მოკავშირე სოზარ სუბარი თავის ადვოკატთან ერთად.** სასტუმრო მერიოტში ისინი შეხვდნენ ქართველ ჟურნალისტს ვახტანგ კომახიძეს. ამ უკანასკნელმა 2010 წელს მიიღო შვეიცარიის მთავრობისგან პოლიტიკური თავშესაფარი მას შემდეგ, რაც გამოაქვეყნა თავისი ჟურნალისტური გამოძიება 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომის შესახებ. ამის გამო ის უფრთხის საქართველოს მთავრობას. საუბარი ამ შეხვედრის დროს შეეხებოდა ივანიშვილის უსაფრთხოებას. შეხვედრიდან რამდენიმე საათში სუბარი და მისი თანხლები პირი უკან გაფრინდნენ საქართველოში. თუმცა, როგორც გაირკვა, ისინი მარტონი არ ჩამოფრენილან ციურიხში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი თანამშრომელი ფარულად გაყვა მათ და შეეცადა მათი კომახიძესთან შეხვედრის საუბრის მოსმენას. თუმცა, მათი მოქმედება ძალზე თვალში საცემი იყო, რის გამოც ისინი დააკავა პოლიციამ. მათ აღმოუჩინეს მოსასმენი და სათვალთვალო აპარატურის სრული კომპლექტი. მას შემდეგ, რაც სამი კვირა დაყვეს ციხეში, ისინი გამოაძევეს საქართველოში. შვეიცარიის უშიშროების ორგანოებმა დაადასტურეს მომხდარი ფაქტი ჩვენი გაზეთის (NZZ-ს) თანამშრომლებთან საუბარში.

ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ხორციელდებოდა თვალთვალი ხელისუფლების მოწინააღმდეგეებზე. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც მთავრობასთან დაახლოებული მედიასაშუალებები აქვეყნებენ სატელეფონო საუბრების ჩანაწერთა ფრაგმენტებს. ლაპარაკია სატელეფონო საუბრების ჩანაწერებზე კრიტიკულად განწყობილ ჟურნალისტებსა და ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს შორის.

როგორი შთამბეჭდავიც არ უნდა იყოს საქართველოს მთავრობის წარმატებები კორუფციის დაძლევაში და მმართველობითი სისტემის და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციაში, პრეზიდენტ სააკაშვილის რეპუტაცია (ყოველ შემთხვევაში 2007 წლის შემდეგ), როგორც დემოკრატის და რეფორმატორის, ძლიერ არის შერყეული. სწორედ აღნიშნულ პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებმა ძალის გამოყენებით დაშალეს ანტისამთავრობო დემონსტრაცია და შტურმით აიღეს ოპოზიციური ტელევიზია. სააკაშვილმა მაშინ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ასევე ძალის გამოყენებით დასრულდა 2011 წლის მაისში გამართული დემონსტრაციაც.

## სააკაშვილით უკმაყოფილონი

**თუმცა, ასეთი დაძაბული ვითარება ქვეყნის შიგნით, როგორიც დღესაა, ჯერ არასდროს ყოფილა 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ.** მაშინ პრეზიდენტი შევარდნაძე მრავალკვირიანი საპროტესტო გამოსვლების შემდეგ იძულებული იყო გადამდგარიყო. დღევანდელი დაძაბულობის მიზეზი არის ხალხის უკმაყოფილება სააკაშვილის პოლიტიკის მიმართ და მათი იმედები, რომ მილიარდერი ივანიშვილი შეძლებს ცვლილებების განხორციელებას. გასულ კვირებში ივანიშვილმა საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩაატარა რამდენიმე აქცია, რომლებშიც მიიღო მონაწილეობა ათიათასობით ადამიანმა. სააკაშვილის რეფორმებმა ბევრი ადამიანი აზარალა. ესენი არიან შევარდნაძის დროის პოლიციელები და პროფესორები, რომლებმაც დაკარგეს სამსახური და ახლა, რათა ირჩინონ თავი, იძულებულნი არიან იმუშაონ ტაქსის მძღოლებად და ქუჩის გამყიდველებად. ეს არის ასევე იმ რეგიონთა სოფლის მოსახლეობა, რომლებიც თავს ირჩენს თავის ბაღებსა და მინდვრებში აღებული მოსავლით. ამიტომ ივანიშვილმა, რომელმაც რუსეთში, 90-იან წლებში დააგროვა დიდი ქონება, გამოაქვეყნა სოფლის მეურნეობის განვითარების საკუთარი პროგრამა. ის დაპირდა საყოველთაო სამედიცინო დაზღვევას და მაღალ პენსიებს. ნეოლიბერალიზმზე ორიენტირებული საქართველოს მთავრობა შეეცადა, არ ჩამორჩენოდა მას და, თავის მხრივ, დაპირდა მოსახლეობას ანალოგიური ნაბიჯების გადადგმას. პასუხისმგებლობა ამაზე აკისრია ვანო მერაბიშვილს, რომელიც სულ ახლახან დაინიშნა პრემიერ-მინისტრად. ამ დრომდე შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე მყოფი მერაბიშვილი ითვლება კარგ მენეჯერად; თუმცა, მისი ასევე ბევრს ეშინია. მისი სამინისტრო ითვლებოდა ქვეყნის ყველაზე მძლავრ უწყებად, რომლის დაქვემდებარებაშია ძირითადი სამართალდამცავი ძალები.

# ფული ძალაუფლების წინააღმდეგ


Neue Zürcher Zeitung

Aktuell Meinung Finanzen Wissen Lebensart Video Dossiers Marktplätze

Startseite International Schweiz Wirtschaft Zürich Feuilleton Digital Sport Panorama

INTERNATIONAL

Georgien vor Herausforderung

## Geld gegen Macht

International Montag, 19:30 1 Kommentar

In Georgien wird im Herbst das Parlament neu bestellt. Saakaschwilis Lager und das Bündnis seines Herausforderers Iwanischwili führen mit grösstem Aufwand Wahlkampf. Die Stimmung im Land ist angespannt, die Gefahr von Ausschreitungen wächst.

Silvia Stöber, Tbilisi

ორთავე მხარე დღეს ერთმანეთს ეჯიბრება, ვინ უფრო ჭეშმარიტი დემოკრატია და ვის უფრო მეტად შეუძლია ხალხის ინტერესების გამოხატვა. რეალობაში კი ეს არის ბრძოლა, რომელშიც სახელმწიფოს რესურსი უპირისპირდება ერთი მდიდარი პიროვნების ფინანსურ რესურსებს. ვარდების რევოლუციის შემდეგ ივანიშვილმა გაიღო ქვეყნის აღმშენებლობისთვის 650 მილიონ ევროზე მეტი. თუმცა, ოქტომბერში, ის საჯაროდ განუდგა პრეზიდენტს. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მათ შორის წარმოიშვა უთანხმოებები. ამ დროიდან მოყოლებული ივანიშვილი, ბიზნესმენისთვის დამახასიათებელი შემართებით და სწორუპოვრებით, ბიზნესგეგმის მიხედვით, ესწრაფვის, მოიპოვოს გამარჯვება ოქტომბერში დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში და მიიღოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. „მე არ მიყვარს პოლიტიკოსობა" - აღიარებს ის გულახდილად და გამოიყურება ამასთანავე ოდნავ დაღლილად. მისი თქმით, პოლიტიკოსის როლი არ შეესატყვისება მის ხასიათს, მაგრამ ის ვალდებულია, აკეთოს ეს ქვეყნის გამო, რამეთუ ქართველი ხალხი იმსახურებს იმას, რომ ჰქონდეს ქმედითი დემოკრატიული ინსტიტუტები.

## უფასო თანამგზავრული ანტენები

**ერთ-ერთი პირველი, რაც გააკეთა ივანიშვილმა, იყო ის, რომ ხელისუფლებასთან დაახლოებული ძირითადი მაუწყებლების პარალელურად, შექმნა საკუთარი მედიასაშუალებები.** მას ეკუთვნის ერთი გაზეთი, ინტერნეტის ერთი ვიდეოგვერდი და ერთი ტელემაუწყებელი. მაგრამ, რადგან ერთის გარდა, არც ერთმა სხვა საკაბელო ქსელმა არ მოინდომა მისი სატელევიზიო პროგრამის გავრცელება, ერთ-ერთმა მასთან დაკავშირებულმა ფირმამ დაიწყო თანამგზავრული ანტენების დარიგება. ანტენები ზოგ შემთხვევაში დარიგდა სრულიად უფასოდ, ზოგ შემთხვევაში კი მათზე დაწესდა ძალზე დაბალი გადასახადი. სახელმწიფო კონტროლის პალატამ ჩათვალა ეს ახლად მიღებული საარჩევნო კანონის დარღვევად. მისი გადაწყვეტილებით, იმთავითვე მოხდა ათასობით თანამგზავრული ანტენის ჩამორთმევა და დაწესდა ფულადი ჯარიმები, რომელთა საერთო სიდიდემ, თუ გადავიყვანთ მათ შვეიცარიულ ფრანკებში, გადააჭარბა ათეულობით მილიონ ფრანკს. გადამდგარმა ამერიკელმა დიპლომატმა ჯონ კორნბლუმმა, რომელიც წარმოადგენს ივანიშვილის კოალიციის ინტერესებს ევროპაში, უწოდა ამ გადაწყვეტილებას არაადეკვატური. მისი თქმით, შესაძლოა, რა თქმა უნდა, კაცს გაუჩნდეს ეჭვი იმაში, თუ რამდენად მართლზომიერია თანამგზავრული ანტენების პრაქტიკულად უფასო დარიგება ამომრჩევლისთვის. თუმცა, საარჩევნო კანონის დარღვევის შემთხვევაშიც კი, კორნბლუმის აზრით, აუცილებელია თანაზომიერების პრინციპის დაცვა.

რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, მით უფრო იძაბება სიტუაცია. ივანიშვილის მომხრეები და თანაპარტიელები განუწყვეტლივ ამტკიცებენ იმას, რომ ხელისუფლება ათავისუფლებს, ითხოვს სამსახურიდან მათ ახლობლებს და ნათესავებს. ხშირად ეს შეეხება მასწავლებლებს. გიგა ბოკერია, რომელიც არის ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე, უარყოფს იმას, რომ სკოლებიდან მასწავლებლების დათხოვნა პოლიტიკური მიზეზების გამო ხდება. მისი თქმით, სასკოლო სისტემის რეფორმირების მიზნით, ბოლო 2 წლის განმავლობაში, დათხოვნილ იქნა 20 000 მასწავლებელი. თუმცა, ბოკერია არ გამორიცხავს იმასაც, რომ სკოლის მასწავლებლები, შესაძლოა, ასეთ გადაწყვეტილებებს ღებულობდნენ პიროვნული კრიტერიუმებიდან გამომდინარე. დაწყებული საარჩევნო კამპანიის გამო ივნისის დასაწყისში დროებით შეჩერებულ იქნა ოპტიმიზაციის პროგრამა.

გასულ კვირებში ზოგიერთ რეგიონში, საარჩევნო კამპანიის ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა შეხვედრა, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა ძალადობას. პირადული ხასიათის უხეში შეურაცხყოფა მიაყენეს თვითონ ივანიშვილს, ირაკლი ალასანიას, რომელიც 2008 წლიდან ოპოზიციაში უდგას ხელისუფლებას და ახალზედა პოლიტიკოსს და ყოფილ ფეხბურთელს კახი კალაძეს. საქმე მივიდა გაწევ-გამოწევამდე. ადგილი ჰქონდა ასევე ქვების სროლასაც. ოპოზიცია პასუხისმგებლობას მომხდარზე სახელმწიფო უწყების თანამშრომლებს აკისრებს. ამასობაში სახელისუფლებო პარტიამ და ოპოზიციამ მოაწერეს ხელი შეთანხმებას, რომლის მიხედვით, არც ერთმა მხარემ საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას არ უნდა მიმართოს ძალადობას.

## ექსცესების შიში

**მიუხედავად ამისა, არსებობს იმის შიში, რომ საქმე შეიძლება მივიდეს ძალადობამდე (განსაკუთრებით არჩევნების შემდეგ), თუ არჩევნები არ დამთავრდა ხელისუფლებისთვის სასურველი შედეგით.** ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ალასანია კიდევ უფრო შორს წავიდა ამ მხრივ, როდესაც განაცხადა, რომ სიტუაციის განვითარება სამეგრელოში, რომელიც ესაზღვრება სეპარატისტულ აფხაზეთს, შეიძლება მიუახლოვდეს სამოქალაქო ომის მდგომარეობას. მან ბრალი დასდო მთავრობას იმაში, რომ ეს უკანასკნელი აყალიბებს რეგიონში სამხედრო ფორმირებებს და მზადყოფნაში ჰყავს ისინი. თუმცა, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ ბოკერიამ კატეგორიულად უარყო სიის არსებობა, სადაც თითქოს მოცემულია ამ დაჯგუფებების შემადგენლობა და ის შენობები, სადაც ისინი იმყოფებიან. ბოკერიამ მხოლოდ და მხოლოდ დაადასტურა ფაქტი, რომ მთავრობა აყალიბებს სარეზერვო ნაწილებს. მოხალისეები გადიან წვრთნას, რომელიც მოიცავს ასევე სროლაში ვარჯიშს. თუმცა, მათი იარაღი ინახება სამხედრო საწყობებში.

ივანიშვილი, თავის მხრივ, გამუდმებით უსვამს ხაზს, რომ სურს ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ მშვიდობიანი გზით. „ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენმა მომხრეებმა დაიცვან კანონი" — ამბობს ის. თუმცა, მას დიდი მოლოდინი აქვს: საპარლამენტო ადგილების ორი მესამედი, მისი თქმით, უნდა დაისაკუთრონ მის კოალიციაში შემავალმა პარტიებმა.

ისეთი პირი უჩანს ყველაფერს, რომ ორივე მხარე მზად არის, ყველაფერზე წავიდეს, რათა მოიპოვოს გამარჯვება. აქვე გამოჩნდება, თუ რამდენად პატივს სცემენ ეს პარტიები დემოკრატიას.

**სილვია შტიობერი,**
თბილისი.

Neue Zürcher Zeitung

## დედამიწის ზურგზე



სათამაშო დათვებზე განაწყენებული ბელარუსი თავის საელჩოს იწვევს შვედეთიდან

**სკანდალი შვედეთსა და ბელარუსს შორის მწვავდება: მინსკი უბრძანებს სტოკჰოლმს, გაიწვიოს თავისი დიპლომატებიც. ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის გამწვავდა „ბანჯგვლიან დესანტთან" დაკავშირებული ისტორიის შემდეგ. ამ საქმეში უკვე არის ორი ექვმიტანილი, და თუ დიპლომატიურ მისიებთან დაკავშირებული სკანდალის შესახებ ვიმსჯელებთ, შვედეთის მხარე არ დაეთანხმება, დაეხმაროს გამოძიებას.**

* * *

მეცნიერებმა, რომლებმაც გამოკვლევას 32 წელი მიუძღვნეს, დაადგინეს ბედნიერი ცხოვრების საიდუმლოებანი

**იქნება თუ არა ადამიანი ბედნიერი — ეს წყდება ბავშვობაში. ურთიერთობანი მშობლებთან და მეგობრებთან განსაზღვრავენ ადამიანის უნარს, გახდეს ბედნიერი, ცოდნა კი ამ საქმეში როლს არ ასრულებს. მკვლევარებმა ურჩიეს დედებს და მამებს, მეტი ყურადღება დაუთმონ ბავშვის მგრძნობელობას და პირად ურთიერთობებს, ვიდრე წარმატებებს სკოლაში.**



* * *

სირიის ოპოზიციონერებმა გამოაცხადეს „რუსი გენერლის" მკვლელობის შესახებ, გამოაქვეყნეს ვიდეოც

**გენერალი ვლადიმირ კოჯიევი და მისი თარჯიმანი ჩაიგდეს ხელში და დახოცეს „გმირებმა" დამასკოს გარეუბანში, განაცხადეს სირიის თავისუფალი არმიის წარმომადგენლებმა. დადასტურებად წარმოდგენილია დოკუმენტები არაბულ ენაზე და, თითქოსდა, გენერლის პირადობის მოწმობაც. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროში ირწმუნებიან, რომ მათ ასეთი გენერალი არ ჰყავთ. საელჩოც ამ ამბავს უარყოფს.**

* * *

აშშ-სა და ჩინეთს შორის ახალი კონფლიქტი ჩაღდება: პეკინი რეკომენდაციას აძლევს ამერიკელებს, „მოკეტონ"

**გასულ კვირას, როდესაც ჩინეთის ექსპანსიას აფასებდა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა პეკინის მოქმედებას უწოდა რეგიონში დაძაბულობის გაძლიერების მცდელობა, რომელიც არღვევს დიპლომატიურ ძალისხმევას აზრთა სხვადასხვაობის მოწესრიგებაში". ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლება ალაშფოთა ამგვარმა კომენტარებმა და საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურ განცხადებაში ბრალი დასდო ვაშინგტონს სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევაში.**



1953 წლის პირველ მაისს მოსკოვში, როგორც ყოველთვის, წითელ მოედანზე დემონსტრანტების კოლონებმა გაიარეს. მავზოლეუმის ტრიბუნაზე მდგარ ვოროშილოვს, კაგანოვიჩს, მალენკოვს, მიქოიანს, მოლოტოვს და სხვებსაც შეეძლოთ ასობით იმ საკუთარი პორტრეტის ცქერით ტკბობა, რომლებიც ზღვა თავების ზემოთ ირხეოდნენ. წითელ მოედანზე საკუთარ ტირაჟირებულ ცურვას მორიგ ჯერზე შეჰყურებდა ლავრენტი პავლოვიჩიც, თუმცა ამ დროს ფიქრები, უნდა ვივარაუდოთ, ურთიერთსაწინააღმდეგო აღექრათ. ყოველ შემთხვევაში, უკვე ზეიმის შემდგომ კვირას, მან ცკ-ის პრეზიდიუმის პირველსავე სხდომაზე შეიტანა ერთი წინადადება და პრეზიდიუმის წევრებმა, რა გასაკვირიც არ უნდა ჩანდეს, ის მიიღეს! ძნელიც იყო მიუღებლობა, რამდენადაც ქვეყანაში დამკვიდრებული პორტრეტთთაყვანისცემა რაღაცით ხატთთაყვანისცემას ემსგავსებოდა; და იმავე წლის 9 მაისს გამოჩნდა სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის დადგენილება „სახელმწიფო დღესასწაულებზე დემონსტრანტების კოლონების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შენობათა გაფორმების შესახებ“, სადაც შემოთავაზებული გახლდათ შემდეგი რამ: „... უარი ეთქვას პორტრეტებით დემონსტრანტთა კოლონების, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შენობათა გაფორმებას სახელმწიფო დღესასწაულების დროს... გაუქმდეს სახელმწიფო ტრიბუნიდან დემონსტრანტებისადმი მიმართული მოწოდებების წარმოთქმის პრაქტიკა“.

ბერიას ამ ნაბიჯსაც ვერაფრით ვერ შეაფასებ პირადად თავისთვის დამატებითი პოპულარობის მოპოვების ცდად! ხელმძღვანელობის მისამართით ქება-დიდებაზე უარის თქმა, ხელმძღვანელთაგან იმ მისალმებებზე უარის თქმა, რომლებზეც მასებს სიხარულით „ვაშა!“ უნდა ეყვირათ, ხელისუფალთ დიახაც შემატებდა პოპულარობასა და ავტორიტეტს... ოღონდ მილიონობით საბჭოთა ადამიანიდან რომელი შეიტყობდა, რომ ეს წინადადება ბერიასგან მოდიოდა? ასე რომ, ლავრენტი პავლოვიჩი აქაც სახელმწიფოებრივ აზროვნებდა, თუმცა მალე მას ამ წინადადებასაც დანაშაულად ჩაუთვლიან. ამას ცკ-ის პლენუმზე გააკეთებს ქვეყნის მაშინდელ ხელმძღვანელთაგან ყველაზე უსახური ანდრეევი...

ლავრენტი პავლოვიჩს სხვა ბრწყინვალე იდეასაც დანაშაულად ჩაუთვლიან! ამას გიამბობსო ერთი გაუსწორებელი სტენოგრამის გამოყენებით. ეს არის ბერიას ძველი კოლეგის მირჯაფარ ბაგიროვის გამოსვლის სტენოგრამა ცკ-ის „ანტიბერიული“ პლენუმიდან 1953 წლის ივლისში. მაშინ აზერბაიჯანის კპ-ის ცკ-ის პირველმა მდივანმა ასევე გაყიდა ლავრენტი პავლოვიჩი, უწოდა რა მას ქამელეონი, პარტიისა და ხალხის უბოროტესი მტერი, ორპირი და არამზადა (რამაც ბაგიროვს ვერ უშველა და ბერიას მერე მხოლოდ სამი წელი იცოცხლა: 1954 წლის მარტში დააპატიმრეს, 1956-ის მაისში დახვრიტეს ‑ ს.კ.). 1953 წლის 3 ივლისს აი, რას ამბობდა ბაგიროვი:

„... მირეკავს ბერია და მეუბნება: იცი, რომ ორდენების საკითხს ვამზადებ?.. ახალი ორდენების დაწესება გვინდა. ვუთხარი, რომ ორდენების საკითხი უბრალო საქმე როდია... ეს პარტიის ცკ-ის, მთავრობის ფუნქციებში შედის (თითქოს ბერია არ იყო ცკ-ის პრეზიდიუმის წევრი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — **ს.კ.**), პოლიტიკის საკითხია, როგორ შეგიძლია ამ საკითხის მომზადება...

მალენკოვი: რა ორდენებზეა ლაპარაკი?

ბაგიროვი: კულტურის ორდენები, კულტურის საკავშირო და რესპუბლიკური ორდენები.

მალენკოვი: რომელი კატეგორიის ადამიანებისთვის?

ბაგიროვი: ხელოვნების მუშაკთათვის, თეატრების მუშაკთათვის.

მალენკოვი: მაგალითად, როგორი ორდენები?

ბაგიროვი: ეს იმას ჰკითხეთ.

მალენკოვი: ორდენები ხომ ვისიმე სახელისა უნდა იყოს.

იუსუპოვი (უზბეკეთის სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — **ს.კ.**): მე დამირეკა ბერიას მოადგილემ ორდინცევმა მისი დავალებით — ბერიას შემოაქვს წინადადება ორდენთა ორი ჯგუფის შემოსაღებადო: პირველი — საკავშირო, მეორე — რესპუბლიკური; შემდეგ დაწესდება ეროვნული რესპუბლიკების დიდ ადამიანთა ორდენები. ბაგიროვთან — ნიზამის ორდენი, უზბეკებთან — ალიშერ ნავოის ორდენი...“

ეს ხომ შესანიშნავია! სწორედ ეს გახლავთ ჭკვიანური ეროვნული პოლიტიკა! აი, ასეთი მაგალითიც: მოსკოვიდან გამოგზავნილმა უკრაინელმა პაველ მეშიკმა უკრაინის კპ-ის ცკ-ის სხდომაზე შოკი გამოიწვია, როცა დამსწრეთ უკრაინულ ენაზე მიმართა და ამ ენის შესწავლა ურჩია უკრაინაში მომუშავე რუსებს, პირველი მდივნის მელნიკოვის ჩათვლით. მეშიკს მიემხრო მხოლოდ დრამატურგი ალექსანდრე კორნეიჩუკი.

არადა, მეშიკი მართალი იყო! და ასე იმიტომ მოიქცა, რომ ბერიას სკოლა გაიარა, ანუ ის კაცი გახლდათ, ვინც ირჩევს ქცევის ხაზს, ოპტიმალურს ჩაბარებული სამუშაო უბნის ინტერესთა უზრუნველსაყოფად...

დიახ, მეშიკი გახლდათ ლავრენტი პავლოვიჩის „საკადრო“ კადრი, დააკავეს კიდევაც მაშინვე, ბერიას მიყოლებით და დახვრიტეს ერთნაირი „საქმის- მიხედვით. ორივე იმიტომ დახვრიტეს, რომ „ადგილობრივ“ ხელისუფლებას კონფლიქტებში ჩაუდგნენ — მეშიკი კიევში, ბერია მოსკოვში. რასაკვირველია, უფრო ადვილი იყო ამ ადამიანთა გადაქცევა კრემაციულ ფერფლად, ვიდრე მათ წინადადებებზე რეაგირება, მათი კრიტიკისთვის ანგარიშის გაწევა და მუშაობა, მუშაობა, მუშაობა...

ლვოვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა სერდიუკმა (ეს ვაჟბატონიც აღინუსხა ივლისის პლენუმზე გამოსულთა შორის‑ საცხოვრებლად ამოირჩია ცალკე სახლი, სადაც შსს-ს საბავშვო ბაღი იყო განთავსებული, მეშიკმა კი ხელი შეუშალა და დაცვაც დაუყენა იმ სახლს. კიევის საოლქო კომიტეტის მდივანმა შელესტმა (უკრაინის მომავალმა „პატრონმა“‑ სანადიროდ წაიღო სახანძრო ზედამხედველობის კატერი და აღარ დააბრუნა, მეშიკმა კი ამაზე მოახსენა სსრ კავშირის შსს-სა და უკრაინის მინისტრთა საბჭოს.

პატიოსან ადამიანებთან ამას წესიერება და პრინციპულობა ჰქვია, პარტოკრატებთან — სისულელე და კინკლაობისკენ მიდრეკილება; ბერია და მეშიკი კი პატიოსანი ადამიანები იყვნენ და არა პარტოკრატები. სიტყვამ მოიტანა და შსს-ს ვეტერანები, რომლებთანაც საუბრობდა



სერგეი კრემლიოვი

# დიდი ბერია

რამდენიმე თავი ახალი წიგნიდან




ავტორი წიგნისა „ვინ ხართ თქვენ, ლავრენტი ბერია?“ ა. სუხომლინოვი, ერთხმად ლაპარაკობდნენ მეშიკზე, როგორც დაკისრებული საქმის ერთგულ კაცზე.

მაგრამ განა „ლპ“ ასეთივე არ გახლდათ? და სანაცვლოდ როდი ელოდა ცხოვრებისგან საგანგებოდ გამომცხვარ ტკბილ კვერებს; და არც ის ესმოდა, სხვები როგორ უნდა ეტანებოდნენ... რა გასაკვირია, რომ „ანტიბერიული“ პლენუმის გახსნის დღეს, 1953 წლის 2 ივლისს, მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველმა პომაზნიოვმა მოხსენებითი ბარათი-დასმენა გადასცა მალენკოვსა და ხრუშჩოვს, რომლითაც ეს კადრის მეაპარატე ბერიას ადანაშაულებდა „უმნიშვნელოვანესი“ საქმის საბოტაჟში — პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკთათვის უპირატესობებისა და შეღავათების შენარჩუნების საქმისა. ამგვარი რამ დადგენილი იყო სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებისთვის, თუ ის მუშაკები მრეწველობიდან იყვნენ წამოყენებულნი პარტიულ ან კომკავშირულ სამუშაოზე. „ეს საკითხი მრავალჯერ იყო განხილული და ბოლოს და ბოლოს მოიხსნა ბერიას მხრიდან პროტესტების გამოო“, — წერდა პომაზნიოვი.

არადა, ლავრენტი პავლოვიჩი მარტივად და საღად მსჯელობდა: შეღავათები გარკვეულ სამუშაოს უკავშირდებოდა... შახტის უბნის უფროსი იმიტომ იღებდა „სამიწისქვეშოს“, რომ ჯანმრთელობისთვის მავნე პირობებში უხდებოდა შრომა მიწის ქვეშ. მერე კი, როცა, მაგალითად, საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი ხდებოდა, მიწის ქვეშ უკვე აღარ მუშაობდა. მაშ, რისთვის უნდა გადაეხადათ მისთვის ფული? აღარა გაქვს შავი სამუშაო — აღარც შეღავათები უნდა გქონდეს. ეგეც რომ არა — აბა ეგ რანაირი იდეური პროფესიული მებრძოლია პარტიის იდეებისთვის, თუკი მანეთებს ითვლის? მით უფრო, რომ პარტიულ სამუშაოზე გადასვლით ის, გასაგებია, ულუკმაპუროდ, თანაც კარაქიანით, არ რჩებოდა...

მიდიოდა უსტალინოდ ცხოვრების პირველი თვეები. აპრილი... მაისი... ბერიას „კოლეგების“ გაღიზიანება გროვდებოდა. ხრუშჩოვი უკმაყოფილო იყო იმით, რომ „ლპ“ ცკ-ის აპარატს არ აყენებდა უფრო მაღლა, ვიდრე ეს აპარატი იმსახურებდა. მოლოტოვი ნაწყენი გახლდათ ბერიას აქტიურობით საგარეო პოლიტიკურ სფეროში, რომელსაც თავის ეპარქიად მიიჩნევდა, თუმცა აქ არცროდის ყოფილა დამოუკიდებელი ფიგურა. მალენკოვი, უეჭველად, იმით იყო თავმოყვარეობაშელახული, რომ ის, „პრემიერ-მინისტრი“, ლავრენტი პავლოვიჩთან შედარებით აგებდა საკუთარ თვალშიც კი. ბულგანინს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩს, მიქოიანს თავიანთი პრეტენზიები ჰქონდათ — საქმიანი არა, თუმცა რა განსხვავებაა, თუ პრეტენზიები იყო...

1953 წლის 26 ივნისს ლავრენტი პავლოვიჩ ბერიამ, როგორც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ხელი მოაწერა თავის უკანასკნელ სამთავრობო დოკუმენტს — მინისტრთა საბჭოს განკარგულებას ქარხანა „СУ -3“-ის მშენებლობაზე საპროექტო დავალების შესახებ.

„СУ-3 გახლავთ ურანის პირველადი გამდიდრების ქარხანა და ეგების სიმბოლურიცაა, რომ უკანასკნელი თავისი სახელმწიფოებრივი ხელმოწერა ბერიამ დასვა ახალი საწარმოს მშენებლობის დოკუმენტზე. მას ხომ მთელი ცხოვრება სურდა კიდევაც შენება? და აშენებდა თვით 1953 წლის 26 ივნისამდე.

ამავე დღეს აპატიმრებენ და უმალვე მისი მიყოლებით ან ოდნავ მოგვიანებით დაატუსაღეს ახლობელი გენერლები შსს-დან — ბოგდან ქობულოვი, სერგო გოგლიძე, პავლე მეშიკი, ვლადიმერ დეკანოზოვი, ლევ ვლოძიმირსკი და ვსევოლოდ მერკულოვი...

ბერიას ბედისწერაში დაიწყო უკანასკნელი, უკვე უსახელო ეტაპი, ქვეყნისაში კი — მორიგი; თუმცა, როგორც გამოირკვა — ასევე, ჯამში, უსახელო...

### დაპატიმრება ST CAETERA (და სხვა)

დღეს საეჭვო აღარაა, რომ ბერიას მოცილების ინიციატივა მხოლოდ ხრუშჩოვისგან მოდიოდა. სხვა საკითხია — როგორ და როდის გაბედა ამგვარი საკითხის დაყენება კოლეგების წინაშე; ან გაბედა კი საერთოდ? — თუ მხედველობაში გვეყოლება ცკ-ის პრეზიდიუმის უმრავლესობა.

არადა, რამდენიმე დეტალი გვაფიქრებინებს, რომ ლავრენტი პავლოვიჩის დაპატიმრებას ვიღაცა ერთობ დიდხანს ამზადებდა და სპონტანურ ამბად ვერ მივიჩნევთ! და მით უფრო არ შეიძლება ყველაფრის გადაბრალება ბერიას მითიური „შეთქმულების“ გახსნაზე, რაც არასდროს ფიქრადაც არ მოსვლიათ არც „ლპ“-სა და არც მის ექვს დაპატიმრებულ თანამოაზრეს (სერგო გოგლიძე, ვლადიმერ დეკანოზოვი, ლევ ვლოძიმირსკი, ვსევოლოდ მერკულოვი, პავლე მეშიკი, ბოგდან ქობულოვი‑.

ამ წიგნში დიდ ადგილს ვერ დავუთმობ იმ დღეთა ამბებში დასავლეთის ოქროს ელიტის როლს და უბრალოდ გამოვთქვამ ინტეგრალურ დასკვნას: 1952 წლის მეორე ნახევრიდან ხრუშჩოვის გარემოცვაში უკვე იყვნენ დასავლური გავლენის პირველადი აგენტები. ისინი მარჯვედ უმღვრევდნენ ბოლმას ნიკიტა სერგეევიჩს, თამაშობდნენ მის ამბიციებზე, შიშის გრძნობაზეც, შელახულ თავმოყვარეობაზეც. იგივენი აქეზებდნენ ხრუშჩოვს აქტიურ ქმედებებზე ჯერ სტალინის წინააღმდეგ, მერე კი — ბერიასი.

თვითონ ნიკიტა სერგეევიჩისთვის ეს ქმედებები იყო ხელისუფლების მწვერვალებზე მისი პირადი წარუვალი კეთილდღეობის საწინდარი. ოქროს დასავლეთისა და იმისი აგენტებისთვის მნიშვნელოვანი გახლდათ რუსეთის მდგრადი განვითარების ჩაშლის შესაძლებლობა. ვფიქრობ, კერძოდ ამიტომაც „ლპ“-ს დაპატიმრებისთანავე იმისი შემდგომი ხვედრი გაიბერა არა უბრალოდ ხმებით, არამედ მიზანმიმართულებად შექმნილი მითებით, აგრეთვე სიყალბეებით, ფალსიფიკაციებითა და პროვოკაციებით...

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის დანიშვნა უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციური უფლებაა, არადა გენპროკურორი საფონოვი უკანონოდ გაათავისუფლეს ამ თანამდებობიდან სკკპ-ის ცკ-ის პრეზიდიუმის სხდომაზე 1953 წლის 29 ივნისს. იმავე დღეს მის ადგილზე რუდენკო დანიშნეს. ასე „აღადგენდნენ“ იმ სოციალისტურ კანონიერებას, რომელსაც თითქოს ბერია თელავდა.

სწორედ რუდენკომ გასცა ფორმალური სანქცია „ლპ“-ს დაკავებაზე — გასცა 8 ივლისს, ფაქტობრივი დაპატიმრების შემდეგ კვირანახევარში; და ასეთი შეფერხება, ალბათ, მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით როდია დამახასიათებელი. რუდენკოსაც კი, აშკარაა, რაღაცა დროის სიგრძეზე ეშინოდა, რომ ამბები შეიძლება ხრუშჩოველებისთვის არახელსაყრელი მიმართულებით წარმართულიყო. აი, ცკ-ის პლენუმის (1953 წლის 2-8 ივლისი‑ იმათთვის ხელსაყრელი დამთავრების შემდეგ კი ხრუშჩოველები გათამამდნენ.

ამასთან ქაღალდზე ბერიას დაპატიმრების ოფიციალური სანქცირება ახალი გენპროკურორისთვისაც მით უფრო ადვილი იყო, რომ „ლპ“ 8 ივლისისთვის ან უკვე აღარ იყო ცოცხალი, ან იმისი გაუსამართლებლად მოკვლა უახლოეს დღეთა საქმე იყო; თუმცა ეს ცალკე თემაა...

თარგმნა
**თამაზ ებანოიძემ**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. სრ. № 138-150

ოლიმპიადა 2012

# ქართველები ლონდონში






**ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მანუჩარ ცხადაია (66 კგ) ორგზის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონია. ქართველ „კლასიკოსთაგან“ ლონდონის ოლიმპიადის საგზური სხვებზე უწინ მან დაიმსახურა და სპეციალისტები ბრიტანეთის დედაქალაქშიც მისგან მედალს ელოდნენ, პირდაპირ ვთქვათ — უმაღლესი სინჯისას. ხობელ ფალავანს მიზნის ასრულებამადე მცირედი დააკლდა, თუმცა სამშობლოში ხელმოცარული მაინც არ ბრუნდება.**

ცხადაიას ლონდონში წილისყრამაც გაუმართლა — თავიდან იოლი მეტოქეები შეახვედრა, ირანელი მსოფლიოს ჩემპიონი საიდ მორად აბდუვალი, რომელიც ბადის მეორე მხარეს იყო, ადრევე დაემშვიდობა შეჯიბრებას. ჩვენებურმა ზედიზედ იოლად სძლია შვეიცარიელ პასკალ შტრებელს, ეგვიპტელ აშრაფ მოჰამედ მელიგუ ელგარაბლის და ნახევარფინალში უნგრელ ევროპის ჩემპიონ ტამაშ ლორინცს დაუპირისპირდა. შარშან მსოფლიოს პირველობაზე ქართველმა მოჭიდავემ იოლად დაამარცხა მადიარი, არც ახლა უნდა გაძნელებოდა მისი ძლევა, მაგრამ, მსოფლიოს ჩემპიონატების წაგებული ფინალების მსგავსად, ლორინცთან ჭიდაობის დროსაც რამდენჯერმე შეცდა, რაც კარგად გამოიყენა მეტოქემ და ფინალში გავიდა. ცხადაიას ბრინჯაოსთვის ბრძოლის შესაძლებლობა მიეცა და ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა — გერმანელი ფრანკ სტაბლერი დაამარცხა და, ფრანგი სტივ ჟენოს მსგავსად, მესამე ადგილი დაიკავა. გადამწყვეტ პაექრობაში სამხრეთკორეელმა ჰიეონვოო კიმმა ლორინცს აჯობა და ჩემპიონობა მოიპოვა.

ოლიმპიურ ხალიჩაზე ძალები მოსინჯა სოსო ჯაბიძემაც (96კ, მაგრამ სტარტზევე ბულგარეთის სახელით მოასპარეზე ალბანელ მსოფლიოს ჩემპიონ ელის გურთან დამარცხდა, რომელიც მერე ბელარუს ტსიმაფეი დზიაჩენკას დანებდა და ჩვენებურს სანუგეშოში ჩართვის შანსი ჩაეფუშა...

ძალოსანთაგან ოლიმპიურ ფიცარნაგზე მძიმეწონოსნები გავიდნენ. საქართველოს სპორტულ ღირსებას ირაკლი თურმანიძე იცავდა. ატაცში მან 201-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა და



პირველი მოძრაობის შემდეგ მეოთხე იყო (საგულისხმოა, რომ პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონმა და 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა გერმანელმა მატიას შტაინერმა 197 კილოგრამის აწევისას ტრავმა მიიღო და შეჯიბრებას გამოეთიშაძ. ქართველმა ათლეტმა 232 კილოგრამი აკრა და ორჭიდში 433 კილოგრამით მე-5 ადგილზე გავიდა. 455 კილოგრამით ოლიმპიური ოქროს მედალი ირანელმა მსოფლიოს ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ბეჰდად სალიმიკორდასიაბიმ მოიპოვა. 449 კილოგრამით მეორე ადგილი მის თანამემამულე საჯიდ ჰამლაბად ანუშირავანის ხვდა, 448 კილოგრამით მესამე იყო რუსი ევროპის ჩემპიონი რუსლან ალბეგოვი...




მძლეოსნობაში ორი ქართველი გამოდიოდა. უკვე გაუწყეთ, რომ 110 მეტრზე თარჯებით დავით ილარიანმა (13,90კ საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ გაიარა. უფრო ცუდად იასპარეზა სიგრძეზე მხტომელმა მაიკო გოგოლაძემ (მას სამივე ცდა გაუცუდდა და, საერთოდ, უადგილოდ დარჩა).

ხვალ პაექრობებში თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩაებმებიან.

**ლექსო ცინცაძე**

კალათბურთი



# პირველი შთაბეჭდილებები

**ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდის სტარტამდე ერთი კვირით ადრე თბილისის სპორტის სასახლე ოთხთა საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობს.**

**ბუნებრივია, ამხანაგურ შეხვედრებს მრავალმხრივი დატვირთვა აქვს, მათ შორის დებიუტანტების გამოცდა. ვინაიდან ასეთები ამჯერად ორი გვყავს, ჩვენი ყურადღებაც მათი თამაშისკენ იყო მიპყრობილი, თუმცა პირველ მატჩში სარბიელზე მხოლოდ ჯეიკობ პულენი გამოვიდა. ამთავითვე უნდა ითქვას — ასეთი გამთამაშებლით, ალბათ, ვერ გავფრინდებით.**

მოგეხსენებათ, როცა რომელიმე პოზიციაზე ლეგიონერს იწვევ, იგი, სულ მცირე, კონკურენტ ან ნაკრებიდან მოკვეთილ თანამემამულეს ოდნავ მაინც უნდა აღემატებოდეს. ჰოდა, საქმეც



ის არის, რომ ფერადკანიანი ამერიკელის ღირსებები ჩვენთვის გაუშიფრავი დარჩა.

როცა ასეთ დასკვნას ვაკეთებთ, რასაკვირველია, იმ ფაქტსაც ვითვალისწინებთ, რომ ახალ აუდიტორიასთან წარდგენისას შესაძლებელია ყველას დაუცდეს ფეხი, ამიტომ, ვიმედოვნებთ, პულენი მომავალში ისეთი თამაშით დაგვამახსოვრებს თავს, რომ კვალიფიციური უკანახაზელის პრობლემას ამოწურულად ჩავთვლით.

ცალკე უნდა შევეხოთ თორნიკე შენგელიას თემას. ერთი თვის წინათ გულით გავიხარეთ, როცა 20 წლის ჭაბუკი ნბა-ს კლუბში ჩარიცხული მეოთხე ქართველი კალათბურთელი გახდა, რაც უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს როგორც პირადად მას, ისე მწვრთნელებსა და მის კარიერასთან დაკავშირებულ მთელ რიგ პირებს.

ასეთი შესავლის შემდეგ თავს უფლებას ვაძლევ, ფრთხილად გაგიზიაროთ მოსაზრება, რომ თითქმის შეუცვლელად თამაში მისთვის ზედმეტად სარისკოა — იგი, უბრალოდ, შეიძლება გადაიწვას. ვინმემ შეიძლება გვიპასუხოს — ოკეანის გაღმა ხომ გაცილებით მეტი დატვირთვა ექნებაო, მაგრამ მათ მივუგებთ, რომ, ჯერ ერთი, თავიდანვე არავინ გამოუცხადებს ასეთ ნდობას, და მეორეც: მაშინ მაინც დაესვენებინათ, როცა მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

გაუწყებთ პირველი სათამაშო დღის შედეგებს: უკრაინა — ესტონეთი 60:49, საქართველო — ბელარუსი 99:76.

„ჯვაროსანთაგან“ ყველაზე შედეგიანები იყვნენ: შენგელია — 23, სანიკიძე — 16, მარკოიშვილი, ცინცაძე — 14-14 ქულა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ჩოგბურთი

# ტატიშვილი პირველ წრეს ვერ გასცდა

**მონრეალში (კანადა) გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი — 2.168,400 დოლარი), შეჯიბრების საკვალიფიკაციო ეტაპზე 22 წლის ანა ტატიშვილმა სამი მეტოქე დაამარცხა, მათ შორის — პოლონელი ურსულა რადვანსკა და ძირითად ბადეში კსენია პერვაკს (ყაზახეთი) დაუპირისპირდა. შარშან მემფისის ტურნირზე ქართველმა აჯობა შუააზაზიელს, მაგრამ მონრეალში პერვაკმა რევანში აიღო — დაძაბულ პაექრობაში 7:6, 7:6 აჯობა ტატიშვილს და მეორე წრეში გავიდა.**

გერმანიის ქალაქ პეჩინგენის 25.000-იანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო შეხვედრები მოიგეს ეკატერინე გორგოძემ



და სოფიო ქვაცაბაიამ, რომლებმაც ძირითად ბადეში გაალწიეს. იქ კი გორგოძე იტალიელ იულია მაირს დაუპირისპირდება, ქვაცაბაია კი ჩეხ რენატა ვორაჩოვას გაუწევს მეტოქეობას. ქვაცაბაია — გორგოძის დუეტმა წყვილებში იულია ჩუბაროვა (რუსეთიძ და ჟილ ნორა ენგელმანი (გერმანიაძ დაამარცხა — 6:1, 6:0.

**ლაშა დიდია**




ფეხბურთი

# გვეპატიჟება „დინამო“



**დღეს 14 საათზე დიღმის ბაზაზე დიდი თავყრილობა შედგება: ახალი სეზონისადმი მიძღვნილ პრეზენტაციაზე თბილისის „დინამო“ გვეპატიჟება.**

საქმე მარტო განახლებულ სავარჯიშო კომპლექსს ეხება — სახელოვანი კლუბის მფლობელთა და მრავალრიცხოვან ქომაგთა სურვილია, ესპანური ერის ჩეხურით შეცვლას „თეთრ-ლურჯთა“ მენტალური პროგრესი მოჰყვეს.

საამისოდ რომან ფიფიამ, ბუბა ტყავაძემ და დუშან უჰრინმა შეგირდებს ყველა პირობა შეუქმნეს — დაწყებული „ფუნდამენტის“ — ბავშვთა აკადემიის გამოცოცხლებით და დამთავრებული აქტიური სელექციით.

დანარჩენს დღეს შევიტყობთ.

**გიორგი შოთაძე**

მეცნიერება

# გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ

## მეცნიერებმა საქართველოს პატრიარქს ანგელოზის დღე ბიულეტენით მიულოცეს

**2012 წლის 2 აგვისტოს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ანგელოზის დღეს, საპატრიარქოს გალავნის კარი საღამოს 8-საათიდან ღია იყო ყველასთვის, ვისაც მისი უწმინდესობის ანგელოზის დღის საზეიმო საღამოში მონაწილეობის მიღება სურდა. ხალხის ნაკადი უწყვეტად მოედინებოდა კიდეც საპატრიარქოსკენ.**

თბილისის უნივერსიტეტის „არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა დენიზა სუმბაძემ ანგელოზის დღის მისალოცად, პატრიარქს გადასცა „არეოპაგიული ცენტრის“ საგანგებო ბიულეტენი: „ახალი ღვთაებრივი ერის გაგებისთვის“.

ქ-ნმა დენიზა სუმბაძემ აღნიშნული ცენტრის სახელით, 2012 წლის გაზაფხულზე გამოაქვეყნა ახალი შრომა: **„გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ,** რომელსაც სამეცნიერო წრეებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ავტორმა აღნიშნული წიგნის უკვე სამი საწარდგინებო სხდომა გამართა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, საქართველოს პატრიარქის საერთაშორისო-საქველმოქმედო ფონდში და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

საქართველოს პატრიარქის ანგელოზის დღისადმი მიძღვნილი ბიულეტენი ქალბატონ დენიზა სუმბაძის აღნიშნული წიგნის საწარდგინებო სხდომების ერთგვარი ანგარიშია მისი უწმინდესობისადმი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი, როგორც ქართველი ერის სულიერი მამისა და მთავარი მოძღვრისადმი.

ოპონენტებმა ერთხმად აღიარეს წიგნის განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართველი ერის სულიერი მომავლის შემეცნებასა და სადღეისო ორიენტაციაში.

ქალბატონმა დენიზამ თხოვნით მიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორსა და სამეცნიერო დეპარტამენტს, საშუალება მისცენ, თბილისის უნივერსიტეტში გამართული სამეცნიერო სიმპოზიუმის ბიულეტენი, რომლის პირველი და ერთადერთი ეგზემპლარიც საგანგებო გამოცემის სახით მისი უწმინდესობის, ილია მეორის ანგელოზის დღეს მიეძღვნა, ტირაჟირებულ იქნას და გაიცნოს ფართო საზოგადოებამაც.

**ლეილა მირიანაშვილი,**
ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს გამგეობის წევრი და პასუხისმგებელი მდივანი.

„სად წაიყვან სადაურსა“

კრებულიდან „100 ქართველი უცხოეთში“

# ეფრემ მცირე (XI საუკუნის II ნახევარი)

**ფილოლოგი, ფილოსოფოსი, მთარგმნელი. ბავშვობა გაუტარებია კონსტანტინოპოლში, სადაც საფუძვლიანი განათლება მიუღია და ზედმიწევნით დაუფლებია ბერძნულ ენას.**

შავი მთის ქართულ კოლონიაში აირჩიეს წინამძღვრად 1091 წელს. ეფრემის განსწავლულობა იქაურმა ქართველმა მოღვაწეებმა ჯეროვნად დააფასეს და ბერძნული წიგნების გადმოთარგმნა დაავალეს.



ეფრემ მცირემ შექმნა საკუთარი მთარგმნელობითი თეორია, თარგმნა გრიგოლ ნეოკესარიელის, გრიგოლ ნაზიანზელის, ბასილი დიდი კესარიელისა და სხვათა ნაშრომები; იმის კალამს ეკუთვნის ორიგინალური იამბიკოები, გრამატიკული თხზულება და სხვა.

ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარება მჭიდროდ უკავშირდება ეფრემის სახელს. ეს მან ჩაუყარა საფუძველი XI საუკუნის საქართველოში არისტოტელიზმისა და ნეოპლატონიზმის ორ მნიშვნელოვან სააზროვნო ნაკადს. ქართული ნეოპლატონიზმის განვითარებაში ეფრემის თარგმნილმა არეოპაგიტულმა კორპუსმა თანდართული კომენტარებით გამორჩეული როლი შეასრულა. ასევე თვალსაჩინოა იმისი წვლილი ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შემუშავებაშიც.

მოამზადა
**თამაზ ებანოიძე**

წკეპლიკა

# ვიდრე მოლას მინარეთიდან რუსთაველზეც არ დაუკივლია

## ანუ რამდენად „შეუღლებადია“ ქართული და თურქული არქიტექტურები?

**ევროპული არქიტექტურის ყველა სტილში ქართული არქიტექტურა უპრობლემოდ „ჯდება“. და ის, რომ ქართულ არქიტექტურაში უხვად არის „ჩადებული“ უძველესი ეროვნული ფორმები და არქიტექტურულ-კონსტრუქციული ხერხები (ძველი სასულიერო და საერო დანიშნულების ძეგლები, დინამოს სტადიონი, კინოსტუდიის შენობა და სხვა), არ ქმნის არავითარ პრობლემებს.**

რაც შეეხება თურქულ არქიტექტურას, მან თავისი სახე და დამოუკიდებლობა მკაცრად შეინარჩუნა, იგი ვერ იტანს სხვა სულის არქიტექტურასთან შერწყმას. უფრო უბრალო ენით რომ ვთქვათ, ევროპელი თუ სხვა რომელიმე სტილის არქიტექტურაში „ჩასმული“ თურქული არქიტექტურის დეტალიც კი მთელი ძალით ყვირის. ამ ნათქვამით სრულებითაც არ მინდა დავაკნინო თურქული არქიტექტურული სტილი. ამის არც სურვილი მაქვს, არც შესაძლებლობა და არც უფლება. სხვათა შორის, არც საჭიროება ვხედავ. ყველა ხალხს თავისი კულტურული მემკვიდრეობა და ტრადიციები აქვს მწერლობაში, მუსიკაში, არქიტექტურაში და, საერთოდ, ცხოვრებაში. ყველა ისინი, ცალ-ცალკე აღებულნი, ძვირფასი და საგულისყუროა. მაგრამ, ეს სრულებითაც არ ნიშნავს მათს ადვილად შერწყმა-შეუღლებადობას. ასეთი მცდელობა მექანიკური ხასიათისაა და ჰარმონიულობიდან შორს არის. თურქული არქიტექტურის ბრმად და მექანიკურად გადმოღების მაგალითებმა თბილისშიც იჩინა თავი, მცირედი ყვირილი უკვე ჩვენს ქალაქშიც ისმის, რომ ალარაფერი ვთქვათ ბათუმზე. ამ საკითხს დროზე უნდა მიხედვა, ვიდრე მოლას მინარეთიდან რუსთაველის პროსპექტზეც არ დაუკივლია.

**რევაზ ტყემალაძე,**
საქართველოს დამსახურებული მშენებელი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი

ინფორმაცია

# რას მიუსჯიან ჟურნალისტს?

**ტელეკომპანია „მაესტროს“ ზუგდიდის ბიუროს ჟურნალისტის ნანა ფაჟავას წინააღმდეგ ზუგდიდის პოლიციაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა . როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, სისხლის სამართლის საქმე 187-ე მუხლის I ნაწილით არის აღძრული (სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება), რაც ჯარიმას, გამოსასწორებელ სამუშაოს, ან თავისუფლების აღკვეთას 1- დან 3 წლამდე ითვალისწინებს.**

ინციდენტი ნანა ფაჟავასა და ზუგდიდის „მედია ორგანიზაციის“ გადამღებ ჯგუფს შორის ზუგდიდის მრავალპროფილური საავადმყოფოს ეზოში მოხდა, როცა ჟურნალისტები საავადმყოფოს ერთ-ერთი დაზარალებული პაციენტის ნათესავის კომენტარს იწერდნენ. ნანა ფაჟავას თქმით, მან შეამჩნია, თუ როგორ აფიქსირებდა მისი მუშაობის პროცესს ახალი ამბების სააგენტო „სამეგრელოს მედია ორგანიზაციის“ გადამღები ჯგუფი. ჟურნალისტი დაინტერესდა, თუ რატომ იღებდნენ ვიდეოკამერით. საუბარი ურთიერთშელაპარაკებაში გადაიზარდა, ნანა ფაჟავას თქმით, მან აღელვების ფონზე კამერას მიკროფონი ჩაარტყა.

**ინტერპრესნიუსი**

რეპლიკა

# ჰოი, თქვენ, „იმედელებო“, გაუმაძღარნო ძრომითა...

**რიცხვი იყო აგვისტოს 4, დღე — შაბათი, საათი — დილის 8, გადაცემა — საინფორმაციო „ქრონიკა“; ტელეარხი, შესაბამისად, „იმედი“. ჰოდა, ერთ მომენტში ეკრანზე გაჩნდა დიდრონასოებიანი ქუდი „ივანიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ — ესაოდა, „ქართული ოცნების“ ლიდერმა მრავალმილიონდოლარიანი სარჩელი შეიტანა ერთ-ერთ საერთაშორისო სასამართლო უწყებაშიო.**

კი ბატონო, შეიტანა, ოღონდ ასე ხელისუფალთა საამებლად, მლიქვნელურად, პირმოთნეურად უნდა გაგეფორმებინათ ბატონი ბიძინას ეს ნაბიჯი სამართლიანობით, მიუკერძოებლობით, ობიექტურობით, განთქმულნო უფალნო ჩემნო, „იმედელებო“? საქართველოსთვის, ხალხისთვის, მოსახლეობისთვის, საზოგადოებისთვის ამდენის გამკეთებელი, ამდენის გამღები, ამდენის გადამრიცხველი ბიძინა ივანიშვილია საქართველოს წინააღმდეგი? თუ საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგია? თუ თქვენ, უფალნო „იმედელნო“, საქართველო და საქართველოს ხელისუფლება ერთი და იგივე გგონიათ, იდენტური ცნებები გგონიათ?..

მე უნდა აგიხსნათ, რომ დიდმა ქველმოქმედმა საქართველოს წინააღმდეგ კი არ იჩივლა საერთაშორისო ინსტანციაში, არამედ საქართველოს უზნეო ხელისუფლების, ამ ხელისუფლების ყაჩაღი ორგანოების წინააღმდეგ? რომლებიც მასა და მასთან დაკავშირებულ ყველასა და ყველაფერს ასე დღისით-მზისით, ასე ძალადობრივ, ასე უსინდისოდ, ასე უწესოდ, ასე მტაცებლურად მიახტნენ თუ მიუხტნენ და კვლავაც უხტებიან?

მაინც როდემდე უნდა უქვრებოდეთ ფრაკში, „იმედელებო“, ასე თავგამეტებით ხელისუფლებასა და სულ უმაღლეს თუ უგრძეს ხელისუფალს — წლევანდელ ოქტომბრამდე? ნოემბრამდე?.. ივანიშვილი საქართველოს წინააღმდეგო? — რომელ თქვენგანს მოუვიდა ეს აზრი ეკრანზე გამოსაფენად, ეკრანზე გამოსაჩენად, ეკრანიდან „გასაჟღერებლად“? ან მრჩეველი არა გყავთ, ან პროდიუსერი, ან რედაქტორი?.. ვაი, თქვენს პატრონს და ვუი, ჩვენს უპატრონობას...

**ბერდია ბედოიძე**

ეთერ ქემერტელიძე დიდი გულისტკივილით იუწყება ღვაწლმოსილი, ღირსეული პიროვნების, პროფესორ

**გედი გელბახიანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ა(ა)იპ თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პროფესორი

**გედევან პეტრეს ძე გელბახიანი**

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

ა(ა)იპ თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**მანანა იოველის ასული ქუთათელაძე**

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

ეთერ ქემერტელიძე ღრმა მწუხარებით იუწყება საქართველოში ფარმაკოქიმიის მეცნიერების, ფარმაცევტული განათლების და მრეწველობის ფუძემდებლის აკადემიკოს იოველ ქუთათელაძის ქალიშვილის, უკეთილშობილესი მანდილოსნის

**მანანა ქუთათელაძე-მჭედლიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ფასები

# საწვავი 5 თეთრით გაძვირდა



**საწვავის** ფასი საცალო ქსელში 5 თეთრით გაიზარდა. ამის შესახებ „ნავთობპროდუქტთა იმპორტიორთა კავშირი“ იუწყება. ფასის მატება ყველა კატეგორიის საწვავს შეეხო. „ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის“ თავმჯდომარის ვანო მთვრალაშვილის თქმით, საერთაშორისო ფასები ნავთობპროდუქტებზე ზაფხულის პერიოდში ყოველთვის იმატებს, რაც პირდაპირ კავშირშია წელიწადის ამ დროს ნავთობპროდუქტების მოხმარების ზრდასთან.

— ბოლო პერიოდში, საერთაშორისო ფასები ნავთობპროდუქტებზე Platts-ის მიხედვით მნიშვნელოვნად გაიზარდა. ფასების მატება დაიწყო ივლისის პირველი რიცხვებიდან და დღემდე გრძელდება. საერთო ჯამში, ივლისის თვიდან საერთაშორისო ფასი ბენზინზე გაზრდილია საშუალოდ 130 დოლარით ტონაზე, ხოლო დიზელის საწვავზე — 60 დოლარით ტონაზე, — განაცხადა მთვრალაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

## იმოძრავეთ!

# მომაკვდინებელი კვარტეტი

**— ეს შემზარავი სახელწოდება მეტაბოლურმა სინდრომმა იმის გამო მიიღო, რომ უამრავი სიკვდილის მიზეზი ხდება ხოლმე. ნივთიერებათა ცვლის ეს დარღვევა სადღეისოდ უკვე ეპიდემიად გადაიქცა.**

მეტაბოლური სინდრომი კვარტეტს იმის გამო უწოდეს, რომ იგი ოთხ უმძიმეს დაავადებას შეიცავს, ესენია, კერძოდ, **ჰიპერტონია, გულის იშემიური დაავადება, II ტიპის შაქრიანი დიაბეტი და სიმსუქნე.**



აღნიშნულ სინდრომს საფუძვლად ინსულინორეზისტენტულობა უდევს — **როცა ქსოვილები ინსულინს ვერ ითვისებენ, იგი სისხლში ჭარბად გროვდება.** შედეგად ნახშირწყლებისა და ცხიმოვანი ცვლის დარღვევა ხდება, ასევე ათეროსკლეროზის ადრეული და გულის სისხლძარღვთა გართულებათა წარმოშობის პირობები იქმნება.

ჩვეულებრივ მეტაბოლური სინდრომის განვითარება უჭმელზე სისხლში გლუკოზის სიჭარბესა და მუცლის არეში ცხიმის დაგროვებას — აბდომიალურ გასუქებას მოწმობს.

ამავე დროს აღინიშნება არტერიული წნევის ვერცხლის სინდიყის 130/85 მილიმეტრამდე მომატება.

**მეტაბოლური სინდრომის გამომწვევი მიზეზია ფიზიკური დატვირთვის შემცირება. ჰიპოდინამია — ხარკია, რომელსაც კომფორტის გამო ვიხდით.** კაცობრიობა ტახტებსა და მანქანების სავარძლებს მიეჯაჭვა, საცხოვრისის ასაშენებლად, ან საკვების მოსაპოვებლად მას აუარება ენერგიის დახარჯვა აღარ უწევს.

გარდა ამისა, მეტაბოლური სინდრომი წარმოშობას ექიმები სულ უფრო ხშირად გაუმართლებლად პოპულარულ შიმშილობას უკავშირებენ, რასაც სისხლში გლუკოზის დონის შემცირება იწვევს, ამას კი, თავის მხრივ, ინსულინორეზისტენტულობა მოჰყვება.

მეტაბოლური სინდრომის ნიშნების შემცირება სწორი მკურნალობითაა შესაძლებელი. თანაც მთავარია ძალისხმევის მეტაბოლიზმის ბუნებრივი გზით ამაღლებაზე მიმართვა, ყოველგვარი წამლების გარეშე. ამასთან, **ძალიან მნიშვნელოვანია თამბაქოს მოწევაზე უარის თქმა და ალკოჰოლის მიღების მინიმუმამდე შემცირება.**

**საამისოდ, ეცადეთ, რაც შეიძლება მეტი იაროთ ფეხით, ნუ იმგზავრებთ ლიფტით, იცურავეთ, იცეკვეთ. მაგრამ თუკი რაიმე ქრონიკული დაავადება უკვე შეგეყარათ, თავდაპირველად აუცილებლად მიიღეთ ექიმის კონსულტაცია. ზოგიერთებს სამკურნალო ფიზკულტურით შემოფარგვლა მოუწევთ.**

დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე კვების რაციონს. **საჭიროა საკვების დღეში 5-ჯერ მიღება. უბრალო ნახშირწყლები (ტკბილეული, ცომეული, თეთრი ბრინჯი) რთულებით (წიწიბურით, ქერის ფაფით, რუხი ბრინჯით) შეცვალეთ. საკვებში მარილი ნაკლებად იხმარეთ, თუმცა წყალში გავლებულ მჟავე კომბოსტოზე, ახლად დამწნილებულ კიტრზე, ნაკლებად დამარილებულ ქაშაყზე უარს მაინც ნუ იტყვით. დიეტაში ასევე უნდა შეიტანოთ 10-15 გრამი მცენარეული ზეთი, რომელსაც ვინეგრეტებს, სალათებს, სხვა კერძებს ვუმატებთ.**

**რაციონში ცილების მთლიანი მოცულობის 50 პროცენტი მჭლე ხორცზე, ხაჭოზე, ასევე კვერცხსა და ზღვის პროდუქტებზე უნდა მოდიოდეს. ზომიერად ცხიმიანი ზღვის თევზის მირთმევა კი კვირაში 2-3-ჯერაა რეკომენდებული.**

* * *

მსოფლიო **ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, დედამიწის მოსახლეობის 30 პროცენტს ჭარბი წონა აქვს. მათ შორის 16,8 პროცენტს მამაკაცები შეადგენენ, 14,9 პროცენტს — ქალები. მეტაბოლური სინდრომი 50 წელს გადაცილებულ ადამიანთა 44 პროცენტს აქვს. სიმსუქნით დაავადებულთა რიცხოვნობა ყოველ 10 წელიწადში 10 პროცენტით მატულობს. ჭარბი წონის ყოველი 4,5 კილოგრამი მამაკაცებში არტერიული წნევის ზედა (სისტოლური) ზღვრის ვერცხლის სინდიყის 4,4 მილიმეტრით, ხოლო ქალებში — 4,2 მილიმეტრით ზრდას იწვევს.**

ნინო ალექსანდრია

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან



### ავღანეთში მყოფი ქართველი ჯარისკაცებისთვის არჩევნები ერთი კვირით ადრე ჩატარდება

ავღანეთში სამშვიდობო მისიით მყოფი ქართველი ჯარისკაცებისთვის ორი საარჩევნო უბანი გაიხსნება. ეს გადაწყვეტილება ცესკომ მიიღო და ქაბულში წამსვლელ დამკვირვებლებზე ვაკანსიაც გამოაცხადა. „გურია ნიუსის“ ინფორმაციით, საარჩევნო უბან „შუკვანსა“ და „ასეულის ბაზაზე“ არჩევნები დაგეგმილით ერთი კვირით ადრე ჩატარდება. ცესკო ამას ბუნებრივი პირობებითა და საომარი მდგომარეობით ხსნის.

„საქართველო და მსოფლიო“.

### რუსეთმა უკან დაიხია

აფხაზეთიდან და ცხინვალიდან რუსების შესაძლო შემოჭრაზე აწი ალბათ აღარ ილაპარაკებენ. რუსეთმა ცოტათი უკან დახევა გადაწყვიტა და ამ რეგიონებში წვრთნებს აღარ ჩაატარებს. მოსკოვში აცხადებენ, რომ გადაწყვეტილება ამის შესახებ ზედმეტი დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად მიიღეს. ჟურნალისტებს ამის შესახებ რუსეთის გენშტაბის უფროსის მოადგილემ ალექსანდრე პოსტნიკოვმა აუწყა.

„ახალი თაობა“.

### თბილისის საბავშვო ბაღები უკვე გავსებულია

თბილისის საბავშვო ბაღების უმეტესობა შევსებულია. მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრაცია უწყვეტ რეჟიმშია, ძნელად მოიძებნება ბაგა-ბაღი, სადაც მშობელს ბავშვის რეგისტრირება შეეძლება. თბილისის საბავშვო ბაღების მართვის სააგენტოში აცხადებენ, რომ ყველა მეტ-ნაკლებად პრესტიჟული ბაღი მოთხოვნადია და ამ ეტაპზე სრულად არის დატვირთული. მშობლები საგონებელში არიან ჩავარდნილნი — თანხის გადასახდელად მზად არიან, მაგრამ ბავშვის ბაღში რეგისტრირება შეუძლებელია.

„რეზონანსი“.

### საგანგაშო მდგომარეობა ნავთობპროდუქტების, რძის და ხორცპროდუქტების ბაზარზე

რძის პროდუქტებზე, რომელთაც ყოველდღიურად მივირთმევთ, ეტიკეტების წესებია დარღვეული. ამ პროდუქციას სეზონურობა ახასიათებს, ანუ გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში ძროხები კარგად იწველებიან და კომპანიები პროდუქციას ნატურალური რძისგან ამზადებენ, ხოლო შემოდგომა-ზამთარში ნატურალური რძე თითქმის არ არსებობს და კომპანიები ნატურალურის შემცვლელებს იყენებენ. მომხმარებელთა უფლებებს არღვევენ ხორცის პროდუქტების ბაზარზეც, ხშირია შემთხვევები, როდესაც კომპანიები ხორცის პროდუქტების დასამზადებლად ჰორმონალურ პრეპარატებსაც იყენებენ. მომხმარებელთა უფლებებია დარღვეული ნავთობპროდუქტების ბაზარზეც.

„ვერსია“.

### ნოდარ მგალობლიშვილის პოლიტიკური მონოლოგი

„ყველა ციხეში უნდა ჩასვა, ვინც ქვეყანა ასეთ ქაოსამდე მიიყვანა! ერთადერთი, ვინც უნდა გაათავისუფლო, მიშაა — მას უნდა მიუსაჯო იტალიურ ეზოში სამოთახიან ბინაში ცხოვრება, მისცე 1000 ლარიანი ხელფასი, კატა, ძაღლი და ბაზრის გარდა, წასასვლელი არსად უნდა ჰქონდეს. დავინახოთ, როგორ იცხოვრებს გამწარებული ხალხის გვერდით. ციხე მისთვის მადლია, ასე უნდა დატანჯო“.

„ქართული სიტყვა“

### რა სქემას ამუშავებს ხელისუფლება ივანიშვილის წინააღმდეგ?

ამოქმედდა ის სცენარი, რომელიც ხელისუფლებას ბევრჯერ გამოუყენებია ივანიშვილისნაირი „ბუნტოვშჩიკების“ გასანეიტრალებლად — სადღაც, რომელიღაც სარდაფში, სადღაც, რომელიღაც ტყეში, სადღაც, რომელიღაც ბაღჩაში, ქართველი შერლოკ ჰოლმსები უცებ „აღმოაჩენენ“ დიდძალ იარაღს, რომელსაც თურმე ივანიშვილი იმარაგებდა არჩევნების შემდეგ ომის დასაწყებად.

„საერთო გაზეთი“.

## ორწყობილა

*ვიცით, ვინ არის საქართველოს პირველი ლედი, დასადგენია, ვის ეწოდოს მთავარი ყბედი?*

რამაზ ილმელი

**რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.**

## კადრი



## ანეკდოტები

**„ყურადღება: ფილმში შეიძლება იყოს სექსუალური ხასიათის სცენები“.**

**კაცო, შეიძლება იყოს თუ არის? ფუჭად ნუ მაკარგვინებთ დროს!**



* * *

**მამი, რა არის ცოცხალი კლასიკა?**

**— რა, შვილო, და, გზაზე მიმავალი „ჟიგული“.**

* * *

**— რატომ იცქირებიან რუსეთის გერბზე გამოსახული არწივები სხვადასხვა მხარეს?**

**— მესამეს ეძებენ.**

* * *

**— რატომ უყვარს ქალებს მშენებლები?**

**— იმიტომ, რომ მშენებლები სწრაფად იწყებენ და დიდხანს ვერ რჩებიან საქმეს...**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორის მაგიერ
რუსლან რუსია
299-62-77;
599 17-21-21

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24